



ბანკი ქართვ
CARTU BANK

2015

წლიური ანგარიში
ANNUAL REPORT



2015

წლიური ანგარიში
ANNUAL REPORT

შინაარსი CONTENT

07	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა ADDRESS OF THE CHAIRPERSON OF THE SUPERVISORY BOARD
08	ბენერალური დირექტორის მიმართვა ADDRESS OF THE CHIEF EXECUTIVE OFFICER (CEO)
10	ბანკის მისია, ხედვა და ძირითადი ფასეულობები MISSION, VISION AND CORE VALUES OF THE BANK
11	ბანკის სტრუქტურა STRUCTURE OF THE BANK
14	უახლესი მოვლენები ბანკის ისტორიაში RECENT HIGHLIGHTS
16	მოკლე ფინანსური ანგარიში BRIEF FINANCIAL REPORT
18	საკრედიტო მაჩვენებლები CREDIT INDICATORS
20	რისკების მართვა RISK MANAGEMENT
23	კოლექტიური ორგანო COLLECTIVE AUTHORITY
28	სამართლებრივი რეგულირება LEGAL REGULATIONS
28	საერთაშორისო ურთიერთობები INTERNATIONAL RELATIONS
32	მოკორესპონდენტო ბანკები CORRESPONDENT BANKS
33	ბანკის ოფისები BANK OFFICES
34	აუდიტორული დასკვნა AUDIT OPINION



ADDRESS OF THE CHAIRPERSON OF THE SUPERVISORY BOARD

On behalf of the new chairperson of Cartu Bank's Supervisory Board, I'd like to congratulate the Bank Management and its staff on successful completion of 2015 and express gratitude for their relentless efforts.

I'm glad that for all the difficulties the Bank has been growing steadily over the last 19 years meanwhile associated with financial stability.

2015 was fairly successful for Cartu Bank. I'm happy to say that "Fitch" rating company conferred "Cartu" the IDR (Issuer Default Rating) "B+ Stable Prospects" award.

As the Supervisory Board Chairperson, I'll do my best for further progress of the Bank.

I congratulate Ms. Nato Khaindrava appointed CEO on 17 February 2016. I'm confident she will do everything in her power to secure stable development of the Bank. I'd like to say "Thank You" to the Bank Management, its staff and our customers for without them the Bank could have hardly been a success.

We believe 2016 is going to be the year of challenges and opportunities. We intend to go forward for the sake of our customers and the country.

MR. NIKOLOZ CHKHETIANI
Chairperson of the Supervisory Board

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა

სს „ბანკი ქართუ“-ს სამეთვალყურეო საბჭოს ახალი თავმჯდომარის სახელით, მინდა, ბანკის მენეჯმენტსა და მის თითოეულ თანამშრომელს მივულოცო 2015 წლის წარმატებით დასრულება და მადლობა გადავუხადო იმ თავდაუზოგავი შრომისთვის, რომელიც მათ გასწიეს აღნიშნული წლის განმავლობაში.

მოხარული ვარ, რომ ცხრამეტწლიანი ისტორიის განმავლობაში, მრავალი სირთულის მიუხედავად, ბანკი აქტიურად ვითარდება და ჩვენი სახელი კვლავაც ასოცირდება სტაბილურობასა და ფინანსურ სიძლიერესთან.

2015 წელი საკმაოდ წარმატებული იყო. მინდა, მივულოცო ბანკს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „Fitch“-ის მიერ მონიჭებული IDR-ის (Issuer Default Rating) რეიტინგის „B+ სტაბილური პერსპექტივა“ მიღება, ეს მიღწევა საამაყოა ჩვენთვის.

მე, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, მინდა აღვნიშნო, რომ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ „ბანკი ქართუ“-ს წინსვლისა და უკეთესი მომავლისათვის.

წარმატებას ვუსურვებ ქ-ნ ნატო ხაინდრავას, რომელიც 2016 წლის 17 თებერვლიდან სათავეში ჩაუდგა „ბანკი ქართუ“-ს და დარწმუნებული ვარ, იგი თავს არ დაზოგავს ბანკის განვითარებისათვის.

მინდა, ასევე, მადლობა გადავუხადო როგორც ბანკის მენეჯმენტს, თითოეულ თანამშრომელს, ასევე, ჩვენს ერთგულ მომხმარებელს, რომლის გარეშეც ჩვენი წარმატება არ იქნებოდა სრულფასოვანი.

2016 წელი დიდი გამოწვევებისა და შესაძლებლობების წელი იქნება, ვგეგმავთ წინსვლას, ზრდას და განვითარებას ჩვენი მომხმარებლისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ნიკოლოზ ჩხეტიანი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



ADDRESS OF THE CEO

I am happy to welcome you and have the honor to report the Bank's accomplishments in 2015.

From the very beginning, Cartu Bank has been focused on the corporate customers and still is a long-term partner of a number of high-profile organizations. In the course of 19 years of its operations the Bank has contributed a lot to the national economy, namely the industries like production, agriculture, trade, construction etc.

2015 financial results testify to our success: the credit portfolio is now over 891 m GEL and the deposit portfolio enlarged up to 597.9 m GEL.

We are proud to report that the "Fitch" rating company conferred us IDR (Issuer Default Rating) "B+ Stable Prospects" award.

As before, for the last year Cartu Bank maintained partnership with the key financial institutions, such as EBRD and BSTDB.

Each and every customer is important, so we do our best to meet their requirements and offer business-specific innovative banking products to them. Here, I'd like to single out our support to the State-run projects, such as "Favorable Agrocredit" and Produce in Georgia.

I'd like to say "Thank You" to our loyal customers, the corner stone of the business and the incentive to our headway.

We are determined to go forward and make good use of our potential.

MS. NATO KHAINDRAVA
CEO

გენერალური დირექტორის მიმართვა

მოგესალმებით, პატივი მაქვს, მოგახსენოთ იმ წარმატების შესახებ, რომელსაც ბანკმა 2015 წელს მიაღწია.

დაარსების დღიდან სს „ბანკი ქართუ“ ორიენტირებულია კორპორაციულ სექტორზე და რჩება მრავალი წარმატებული ორგანიზაციის გრძელვადიან პარტნიორად. არსებობის ცხრამეტწლიანი პერიოდის განმავლობაში ბანკს დიდი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის ეკონომიკის, კერძოდ, ისეთი მნიშვნელოვანი დარგების განვითარებაში, როგორცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მშენებლობა და სხვ.

2015 წლის წარმატებაზე მეტყველებს ჩვენი ფინანსური მაჩვენებლები: საკრედიტო პორტფელის მოცულობამ 891 მლნ ლარს გადააჭარბა, გაიზარდა სადეპოზიტო პორტფელი და 597.9 მლნ ლარს მიაღწია.

ჩვენთვის საამაყო და აღსანიშნავია საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „Fitch“-ის მიერ მონიჭებული IDR-ის (Issuer Default Rating) რეიტინგი „B+ სტაბილური პერსპექტივა“.

როგორც წლების განმავლობაში, „ბანკი ქართუ“ გასულ წელსაც აგრძელებდა თანამშრომლობას ისეთ წამყვან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, როგორცაა EBRD და BSTDB.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია თითოეული მომხმარებელი, შესაბამისად ვცდილობთ გავითვალისწინოთ მათი მოთხოვნები და შევთავაზოთ ბიზნესზე მორგებული თანამედროვე და ინოვაციური საბანკო პროდუქტები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელმწიფო პროექტების – „შელავათიანი აგროკრედიტი“ და „ანარმოე საქართველოში“ მხარდაჭერა. მინდა მადლობა გადავუხადო ერთგულ მომხმარებლებს, რომლებიც ჩვენი საქმიანობის მთავარი ქვაკუთხედი და სტიმულია მომავალი განვითარებისთვის.

ასევე, აღვნიშნავ, რომ არ ვაპირებთ დავკმაყოფილოდეთ მიღწეულით, გვაქვს გეგმები და რეალური პოტენციალი ბევრად უფრო დიდი წარმატებებისთვის.

ნათო ხაინდრავა
გენერალური დირექტორი



ბანკის მისია, ხედვა, ძირითადი ფასეულობები

„ბანკი ქართუ“-ს მისია:

ჩვენი მისიაა, უმაღლესი ხარისხის ექსკლუზიური საფინანსო მომსახურების გზით, განსაკუთრებული წვლილი შევიტანოთ ქვეყნის მნიშვნელოვანი დარგების განვითარებაში.

ხედვა:

„ბანკი ქართუ“ გახდება გამორჩეული საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც:

- ▶ საქართველოში შექმნის კორპორატიული კლიენტების ექსკლუზიური მომსახურების სტანდარტს;
- ▶ აქტივების მოცულობით სტაბილურ ადგილს დაიკავებს საბანკო სისტემის ლიდერთა სამეულს შორის;
- ▶ დაკომპლექტებული იქნება მაღალკვალიფიციური და მოტივირებული კადრებით;
- ▶ განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ზრდასა და ბიზნესის განვითარებაში;
- ▶ სტაბილურად გაზრდის საკუთარ ღირებულებებს როგორც აქციონერთა, ასევე, კლიენტებისათვის, რაც დადებითად იმოქმედებს, ზოგადად, ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე

ძირითადი ფასეულობები:

- ▶ მაღალი ხარისხის მომსახურება და თითოეული კლიენტისადმი ლოიალური დამოკიდებულება;
- ▶ საბანკო პროდუქტების სრულყოფილი და მრავალფეროვანი პაკეტი;
- ▶ მომხმარებელზე მორგებული თანამედროვე და ინოვაციური ფინანსური გადაწყვეტილებები;
- ▶ პროფესიონალი კადრები.

MISSION, VISION AND CORE VALUES OF THE BANK

Mission

We view it as our mission to make a special contribution to the priority industries by means of top quality exclusive financial service.

Vision

Cartu Bank will become an outstanding financial institution that will:

- ▶ set the exclusive corporate client service standard in Georgia;
- ▶ secure a place among the top three players of the Georgian banking sector in terms of the total assets;
- ▶ have highly-qualified and motivated staff;
- ▶ make a special contribution to the economic growth and business development in the country;
- ▶ steadily increase its shareholder and customer value in order to make a positive impact on the national living standards.

Core values

- ▶ high-quality service and loyalty to customers;
- ▶ a full package of versatile banking products;
- ▶ customer-specific and innovative financial solutions;
- ▶ highly-qualified staff.

ბანკის სტრუქტურა:

სამეთვალყურეო საბჭო:

- ▶ **ნიკოლოზ ჩხეტიანი**
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
- ▶ **ნათელა ყალიჩავა**
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
- ▶ **ეთერ დემინაშვილი**
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

აღმასრულებელი მენეჯმენტი:

- ▶ **ნატო ხაინდრავა**
გენერალური დირექტორი
- ▶ **გივი ლებანიძე**
ფინანსური დირექტორი
- ▶ **დავით გალუაშვილი**
ოპერაციების დირექტორი
- ▶ **ზურაბ გოგუა**
კომერციული დირექტორი
- ▶ **ბეჟა კვარაცხელია**
რისკების დირექტორი

STRUCTURE OF THE BANK:

Supervisory Board

- ▶ **MR. NIKOLOZ CHKHETIANI**
Chairperson of the Supervisory Board
- ▶ **MS. NATELA KALICHAVA**
Member of the Supervisory Board
- ▶ **MS. ETERI DEMINASHVILI**
Member of the Supervisory Board

Executive Management

- ▶ **MS. NATO KHAINDRAVA**
Chief Executive Officer
- ▶ **MR. GIVI LEBANIDZE**
Chief Financial Officer
- ▶ **MR. DAVID GALUASHVILI**
Chief Operations Officer
- ▶ **MR. ZURAB GOGUA**
Chief Commercial Officer
- ▶ **MR. BEKA KVARATSKHELIA**
Chief Risks Officer



უახლესი მოვლენები ბანკის ისტორიაში:

- ▶ საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „Fitch“-ის მიერ ჩატარებული საფუძვლიანი კვლევის შედეგად, 2015 წლის 30 სექტემბერს „ბანკი ქართუ“-ს მიენიჭა IDR-ის (Issuer default Rating) რეიტინგი „B+ სტაბილური პერსპექტივა“;
- ▶ „ბანკი ქართუ“-მ სახელმწიფო პროგრამაში „ანარმოდო საქართველოში“ ჩართვისა და კომპანიების მხარდაჭერისთვის, ბიზნესგაერთიანება საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და მენარმოდოს განვითარების სააგენტოსგან მიიღო მადლობის სიგელი;
- ▶ განახლდა დისტანციური მომსახურების არხები;
- ▶ სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემებს შეემატა გზავნილი – „Золотая Корона“.
- ▶ „ბანკი ქართუ“-მ Visa და MasterCard ბარათებისთვის დანერგა უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტი – Verified by Visa და MasterCard Secure Code.

RECENT HIGHLIGHTS

- ▶ As a result of a detailed survey, on 30 September 2015, the “Fitch” rating company granted Cartu Bank the IDR (Issuer default Rating) “B+ Stable Perspective” award.
- ▶ For its involvement in the State-run Produce in Georgia program and support to companies, Cartu Bank was given the Certificate of Gratitude by the Georgian Employers Association and Entrepreneurship Development Agency.
- ▶ Remote service channels were upgraded.
- ▶ „Zolotaya Korona“ – a new kind of fast remittance was launched.
- ▶ Cartu Bank introduced the top security for Visa and MasterCard - Verified by Visa and MasterCard Secure Code.



მოკლე ფინანსური ანგარიში

შეიძლება მივიჩნიოთ, რომ გასული წელი ბანკის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებული წელი იყო. ამას ჩვენი ფინანსური მაჩვენებლებიც მოწმობს. წარმატების განმაპირობებელი ფაქტორებიდან აღსანიშნავია:

- ▶ საკრედიტო პორტფელის მოცულობა, რომელმაც 2015 წელს 891,8 მლნ ლარს მიაღწია. აღნიშნული 55.3%-იანი ზრდის მაჩვენებელია წინა წელთან შედარებით;
- ▶ წმინდა სესხების მოცულობა: მთლიანი სესხების 92,47% და მთლიანი აქტივების 69.1%;
- ▶ სადეპოზიტო პორტფელი: 597,9 მლნ ლარი;
- ▶ საშუალო წლიური კაპიტალი: 241,6 მლნ ლარი;
- ▶ ROE 24.39%;
- ▶ ROA 5.79%.

ათას ლარებში	2011	2012	2013	2014	2015
მთლიანი აქტივები	388,252	414,703	594,261	762,512	1,192,724
წმინდა სესხები	256,152	262,148	396,297	543,035	824,618
მთლიანი ვალდებულებები	232,788	237,361	317,421	480,388	916,319
სადეპოზიტო პორტფელი	77,306	66,623	173,786	319,687	597,946
სააქციო კაპიტალი	155,464	177,315	276,840	282,124	276,405
სულ შემოსავლები	77,398	41,355	86,215	67,499	166,147
სულ ხარჯები	141,199	28,335	15,014	47,275	107,206
წმინდა მოგება/ზარალი	-63,801	13,020	71,201	20,224	58,941
თანამშრომელთა რაოდენობა	296	293	313	326	314
საშუალო წლიური კაპიტალი	146,085	114,608	167,300	219,780	241,644
საშუალო წლიური ატივები	515,138	346,828	439,523	643,518	1,018,224

BRIEF FINANCIAL REPORT

Last year can be described as one of the most successful in terms of Caru Bank's financial results. To this end, we should mention:

- ▶ in 2015, the credit portfolio hit 891,8 m GEL or 55.3% more than YOY;
- ▶ net loans: 92,47% and 69.1% of the total loans and assets, respectively;
- ▶ deposit portfolio: 597,9 m GEL;
- ▶ the average annual capital: 241,6 m GEL;
- ▶ ROE 24.39%;
- ▶ ROA 5.79%.

In GEL '000	2011	2012	2013	2014	2015
Total Assets	388,252	414,703	594,261	762,512	1,192,724
Net Loans	256,152	262,148	396,297	543,035	824,618
Total liabilities	232,788	237,361	317,421	480,388	916,319
Deposits Portfolio	77,306	66,623	173,786	319,687	597,946
Share Capital	155,464	177,315	276,840	282,124	276,405
Total Revenues	77,398	41,355	86,215	67,499	166,147
Total Expenses	141,199	28,335	15,014	47,275	107,206
Net Profit/Loss	-63,801	13,020	71,201	20,224	58,941
Number of Employees	296	293	313	326	314
Average Annual Capital	146,085	114,608	167,300	219,780	241,644
Average Annual Assets	515,138	346,828	439,523	643,518	1,018,224

საკრედიტო მაჩვენებლები

2015 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დაკრედიტების კუთხით. აღსანიშნავია ბიზნესის მიმართულებით საშუალო და მსხვილი კლიენტების ზრდის ტენდენცია:

- საკრედიტო პორტფელის მოცულობამ 891.7 მლნ ლარს გადააჭარბა და წინა წელთან შედარებით, 55,3%-ით გაიზარდა;
 - წმინდა სესხების მოცულობის მაჩვენებელმა მთლიანი სესხების 92,47% და ბანკის მთლიანი აქტივების 69,1% შეადგინა;
 - საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბანკის საკრედიტო პორტფელის საშუალო შენონილმა შემოსავლიანობის მაჩვენებელმა წლიური 10.5 % შეადგინა.
- სს „ბანკი ქართუ“ წლების განმავლობაში იყო საშუალო და მსხვილი ბიზნესის წამყვანი კომპანიების გრძელვადიანი პარტნიორი, რითაც თავისი წვლილი შექმნიდა ქვეყნის მნიშვნელოვანი და სტრატეგიული დარგების განვითარებაში. 2015 წელსაც ბანკმა გაითვალისწინა ქვეყანაში არსებული მოთხოვნები და მომხმარებელს შესთავაზა შემდეგი საკრედიტო პროგრამები:
- იმპორტშემცვლელი წარმოების დაკრედიტების პროგრამა;
 - ქსელური ბიზნესის განვითარების დაკრედიტების პროგრამა;
 - სახელმწიფო ობიექტების პრივატიზაციის პროგრამა;
 - მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების პროგრამა;
 - ექსპორტ-იმპორტის სავაჭრო ოპერაციების ხელშეწყობის პროგრამა;
 - სოფლის მეურნეობის დაკრედიტების პროგრამა.

ბანკისთვის ასევე პრიორიტეტულია სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ პროექტებში აქტიური მონაწილეობა:

- „შეღავათიანი აგროკრედიტი“ პროგრამის მიზანია ფერმერების, აგრარული კომპანიებისა და სოფლის მეურნეობაში ჩართული ფიზიკური პირების იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა. პროექტის განხორციელება 2013 წლის 20 მარტს დაიწყო და მის ფარგლებში 2015 წელს ბანკმა 40.3 მლნ ლარის ოდენობის თანხით დააფინანსა 34 კლიენტი, ხოლო ჯამურმა პორტფელმა 57.1 მლნ ლარი შეადგინა (2015 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელი).
- პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ გამოიყოფა 2 მიმართულება:
- ინდუსტრიული ნაწილი, რომლის მიზანია საქართველოში წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიების განვითარება ახალი საწარმოების შექმნისა და არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების დაკრედიტების გზით;
- სოფლის მეურნეობის ნაწილი, რომელიც ორიენტირებულია სოფლის მეურნეობაში ჩართული არსებული საშუალო და მსხვილი საწარმოების გაფართოებასა და ახალი საწარმოების შექმნაზე.
- პროექტის განხორციელება დაიწყო 2014 წლის 1 ივნისიდან და მის ფარგლებში 2015 წელს ბანკმა 11.3 მლნ ლარის მოცულობის თანხით დააფინანსა 4 კლიენტი, ხოლო ჯამურმა პორტფელმა 17.2 მლნ ლარი შეადგინა (2015 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელი).

2015 წელს საქართველოში განსაკუთრებით პრიორიტეტული იყო სოფლის მეურნეობის, იმპორტშემცვლელი და ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების დარგების ზრდის პოტენციალის მაქსიმიზაცია. მას შემდეგ, რაც საქართველომ ევროკავშირის ქვეყნებთან ასოცირების ხელშეკრულება გააფორმა, გაჩნდა დამატებითი შესაძლებლობა ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებისთვის. აღნიშნულ სახელმწიფო პრიორიტეტებს იზიარებს „ბანკი ქართუ“-ც და აქტიურად უჭერს და მომავალშიც დაუჭერს მხარს მსგავსი ტიპის პროექტების დაფინანსებას.

CREDIT INDICATORS

2015 was noted for increasing crediting of the medium-size and major customers:

- the credit portfolio hit 891.7 m GEL or 55,3% more than YOY;
- net loans made up 92,47% and 69,1% of the total loans and assets, respectively;
- by the end of the reporting period, the Bank's average credit portfolio weighted yield was the annual 10.5 %.

For years, JSC Cartu Bank has been a long-term partner to some of the medium-size and major businesses and contributed to the development of priority industries. Similarly, in 2015, in its efforts to meet the customer requirements, the Bank will credit:

- import replacement production;
- chain business development;
- State property privatization program;
- small and medium-size businesses;
- Ex-Im trading operations support program;
- agricultural sector.

Involvement in the State initiated projects is a Cartu Bank priority:

- the objective of the "Favorable Agrocredit" program is the provision of cheap, long-term and affordable financial resources to farmers, agricultural companies and natural persons. The project was launched on 20 March 2013 and in 2015, the Bank funded 34 customers (40.3 m GEL), with the total portfolio amounting to 57.1 m GEL (31 December 2015).
 - there are two directions in the Produce in Georgia Program:
 - support to the industry by crediting the start-up industrial companies focused on producing in Georgia and enlargement/re-equipment of the ones in place;
 - support to enlargement of the medium-size and major agricultural enterprises and creation of the new ones.
- Within the frameworks of the project launched on 1 June 2014, in 2015, the Bank funded 4 customers by 11.3 m GEL, with the total portfolio amounting to 17.2 m GEL (31 December 2015).

In 2015, building up potential of the import replacement and export-oriented agricultural companies was a priority. Signing the association treaty with the EU gave an extra opportunity to the export-oriented Georgian enterprises. Being in favor of the national priorities, Cartu Bank will keep supporting such kind of projects.

რისკების მართვა

რისკების მართვის სტრატეგიის ძირითადი მიზანია ბანკის მდგრადი განვითარებისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომ შესაძლებელი იყოს რისკების დროული იდენტიფიცირება და მათი მართვა, რაც უმნიშვნელოვანესია აქციონერების, მეანბრებისა და კრედიტორების კანონიერი ინტერესების დასაცავად.

ძლიერი მენეჯმენტი არის ბანკის წარმატების მთავარი ფაქტორი. საქართველოში რისკების შეფასება ბიზნესისთვის კვლავაც დიდ გამოწვევად რჩება. საბანკო საქმიანობის მენეჯმენტი ითვალისწინებს ნებისმიერ ბიზნესპროცესთან დაკავშირებული რისკების წინასწარ იდენტიფიცირებას და შეფასებას. „ბანკი ქართუ“-ში რისკების მართვა ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული ნორმატიული აქტების და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

რისკების მართვის დეპარტამენტში შემავალი განყოფილებების თანამშრომლები ყოველწლიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ სემინარებსა და კონფერენციებში. მათ მიერ მიღებული გამოცდილებით ბანკს საშუალება ეძლევა, მეტად დაუახლოვდეს რისკების მართვის თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკას.

სს „ბანკი ქართუ“-ში რისკების მართვის უმაღლესი კოლეგიალური ორგანოა რისკების მართვის კომიტეტი. ბანკის საქმიანობაში რისკების მართვის შესახებ გადანაცვებულების მიღებისა და მათი კონტროლისას კომიტეტი ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებით.

ბანკში რისკები იმართება ცენტრალიზებულად, რასაც ხელმძღვანელობს რისკების მართვის დეპარტამენტი. დეპარტამენტი შედგება სამი განყოფილებისაგან, ესენია:

ფინანსური რისკების მართვის განყოფილება:

- აღნიშნული განყოფილება კურირებს საკრედიტო, ლიკვიდობის, სავალუტო, საპროცენტო და საბაზრო რისკებს. ამ რისკებთან დაკავშირებით განყოფილება ადგენს პოზიციების ლიმიტებს და რისკების მართვის კომიტეტს წარუდგენს ანალიზსა და დასკვნებს კონკრეტული რისკის სამართავად საჭირო ქმედებების შესახებ;
- საკრედიტო კომიტეტისთვის წარუდგენს განიხილავს საკრედიტო განაცხადს/დასკვნას, აფასებს და ანიჭებს რისკის

RISK MANAGEMENT

The main objective of the Bank's risk management strategy is to create the conditions making it possible to duly identify and manage the risks vital for the protection of the interests of shareholders, depositors and creditors.

Strong management ensures the Bank's success. Risk assessment is still a challenge for businesses in Georgia. Management of banking involves a prior identification and assessment of business-related risks. At the JSC Cartu Bank the risk management relies on the standard acts approved by the National Bank of Georgia and the International Best Practice.

The Risk Management Department staff participates in various international and local seminars and conferences on an annual basis, with their experience allowing harmonization of our risk management methods with that of the International Best Practice.

The Risk Management Committee of the JSC Cartu Bank is the supreme collective authority. In the decision-making and control thereof, the Committee exercises the powers delegated by the Supervisory Board of the Bank.

Function of the Risk Management Committee:

- development of the Bank's risk management strategy;
- definition of the risk tolerance levels;
- approval of the risk limits;
- selection/approval of the risk management methods and models;
- at least on a quarterly basis, regular control over the risk management by the relevant divisions, which involves analysis and opinion regarding the Bank's risk positions important for decision-making.

რეიტინგს. ასევე, ადგენს მთლიანი პორტფელის დივერსიფიკაციის დონეს, მონიტორინგის საფუძველზე მუდმივად ანახლებს რეიტინგებს და აფასებს მთლიანი პორტფელის ეფექტიანობას რისკიანობის და შემოსავლიანობის თანაფარდობის გათვალისწინებით;

- მუდმივად აკონტროლებს ბანკის ლიკვიდობის პოზიციებს. სტატისტიკურ მოდელზე დაყრდნობით პროგნოზირებს ბანკის აქტივების და ვალდებულებების ფულად ნაკადებს, რისი მეშვეობითაც მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტიანი დაბანდება, კლიენტებისა და კრედიტორების მიმართ არსებული ვალდებულებების დროულ და შეუფერხებელ მომსახურებასთან ერთად;

- მუდმივად აკონტროლებს ბანკის სავალუტო პოზიციას, განიხილავს რისკების პეკირების სტრატეგიას, ადგენს სავალუტო რისკის ოპტიმიზაციას და ადგენს ლიმიტებს, რათა გაზარდოს სავალუტო ოპერაციებიდან ბანკის მოგების მაჩვენებელი;

- განიხილავს აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შუალედებს. საბაზრო მონაცემებსა და ეკონომიკურ ინდიკატორებზე მუდმივი მეთვალყურეობით პროგნოზირებს საპროცენტო განაკვეთებს, რისი მეშვეობითაც განისაზღვრება აქტივების და ვალდებულებების ძირითადი სტრუქტურა;

- განიხილავს და აფასებს ბანკის გრძელი და მოკლევადიანი საჯარო ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო პორტფელს, აკონტროლებს საინვესტიციო სტრატეგიის რისკებს, დივერსიფიკაციის დონეს და რისკის ქვეშ არსებული ღირებულებების ლიმიტების ფარგლებს;

2015 წლის დასაწყისში განყოფილებამ დაწერა ბანკის საკრედიტო პორტფელის გაუფასურების ახალი მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიით შექმნილ მოდელში ისეთი პარამეტრების შესაფასებლად, როგორებიცაა „დეფოლტის ალბათობა“ და „დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგი“, გამოყენებულია ფინანსური პროგნოზირების და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები. აღნიშნულ მოდელში მონაცემები ყოველთვიურად ახლდება. ახალი მეთოდოლოგია სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან. მოდელში გათვალისწინებულია ფინანსური სექტორის საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების ყველა მნიშვნელოვანი რეკომენდაცია.

The Risk Management Department in charge of the centralized process of risk management consists of the three divisions given below:

Financial Risk Management Division

- manages the credit, liquidity, currency, interest and market risks, determines the relevant position limits and submits to the Risk Management Committee its analysis and opinions regarding the actions required for the management of a specific risk;
- prior to submission to the Credit Committee, considers a credit application/opinion, assesses and rates the risk. Also, the Financial Risk Management Division determines the entire portfolio diversification level, by monitoring permanently updates the ratings and assesses the efficiency of the entire portfolio in terms of risk/return tradeoff;
- permanently controls the liquidity positions of the Bank; relying on statistical models, forecasts the Bank's assets and liability cash flows, which makes the efficient investment of the cash resources and fulfillment of the liabilities towards the customers and creditors possible;
- for the purpose of the Bank's increased profitability index in terms of the exchange operations, permanently controls its currency position; considers the risk hedging strategy, optimizes the currency risk and defines its limits;
- considers the asset and liability terms and by continuous monitoring of the market and economic indicators, forecasts the interest rates in order to define the structures of the assets and liabilities;
- studies and assesses the Bank's short and long-term public securities' investment portfolio, controls its investment strategy risks, diversification level and duly limits the exposed value of the portfolio; In the early 2015, the Bank introduced a new credit portfolio devaluation methodology. The methodology-based model involving the financial forecasting and statistical analysis methods allows assessment of the parameters, such as "default probability" and

საოპერაციო რისკების მართვის განყოფილება:

- აღნიშნული განყოფილება კურირებს ყველა სახის საოპერაციო რისკებს და, მათი ოპტიმიზაციის კუთხით, აქტიურად მონაწილეობს ბანკის ინსტიტუციონალურ განვითარებაში, პროცედურებსა და ბიზნესპროცესებში;
- ბიზნესის უწყვეტობის პოლიტიკაზე დაყრდნობით, საოპერაციო რისკების მართვის განყოფილება მუდმივად აკონტროლებს ბანკის ბიზნესპროცესების შეუფერხებელ მუშაობას. პროცესები ფასდება რისკებისა და კლიენტთა მომსახურების სტანდარტებზე დაყრდნობით, რათა თითოეული მათგანი, როგორც ბანკის, ასევე კლიენტისთვის, მაქსიმალურად სტაბილური და საიმედო იყოს;
- 2015 წლის განმავლობაში, საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, შერჩეულ სერვისცენტრებში პირველად განხორციელდა ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ტესტირება. აღნიშნული პროცესი გაგრძელდება და გაფართოვდება 2016 წლის მანძილზე;
- 2016 წელს იგეგმება არსებული რისკების ძირითადი ინდიკატორების განახლება, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, რაც ბანკს, სასურველი რისკის დონის შესანარჩუნებლად, პრევენციული ღონისძიების გატარების საშუალებას მისცემს.
- ასევე, იგეგმება ბანკის საოპერაციო რისკების მოვლენების აღრიცხვიანობის შიდა სისტემის განახლება, რაც საგრძნობლად გაამარტივებს პერიოდული ანალიზისა და ანგარიშების პროცედურას.

საკრედიტო პორტფელის მონიტორინგის განყოფილება

სესხის გაცემის მომენტიდან უზრუნველყოფს გაცემულ სესხებზე მიზნობრიობის შესრულების კონტროლს და ახორციელებს მსესხებლების ყოველკვარტალურ ფინანსურ მონიტორინგს. შესაბამისად, ბანკს აქვს ოპერატიული ინფორმაცია მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რაც მნიშვნელოვანია აღებული რისკების სამართავად.

“default loss”. In the model, the data are updated on a monthly basis. The new methodology fully corresponds to the International Financial Reporting Standards (IFRS) and recommendations of the international regulatory authorities for the financial sector.

Operation Risk Management Division:

- is in charge of all the operational risks and for the purpose of optimization thereof, is closely involved in the institutional development of the Bank, its business processes and procedures;
- relying on the business continuity policy, permanently controls regular performance of the Bank’s business processes assessed in terms of the risk and customer service standards, so that each of them secures stability of both the Bank and the customer;
- it was for the first time in 2015 that the business continuity plan agreed with the National Bank of Georgia was tested in the specific service centers. the testing will continue and become more comprehensive in 2016;
- in 2016, we are planning to update the main risk indicators in terms of their significance. By doing this, the Bank will be able to take preventive measures in order to maintain the desirable risk level;
- also, the Bank is planning to update its internal system for registration of the operational risk events, which will noticeably simplify the periodic analysis and reporting.

The Credit Portfolio Monitoring Division

From the date of their issuance, controls purposefulness of the loans and monitors the borrowers on a quarterly basis. Therefore, the Bank has operating information on the borrowers’ standing, which is important in terms of risk management.

კოლექტიური ორბანო

სს „ბანკი ქართუ“-ში სამუშაო პროცესების მეტი ეფექტურობისთვის რიგი საკითხების განხილვა და დამტკიცება დელეგირებულია კოლექტიურ ორგანოებზე, რომლებიც წარმოდგენილია კომიტეტების სახით. მათი საქმიანობა ეფუძნება ბანკის წესდებას, დამტკიცებულ შიდა ნორმატივებს, საკანონმდებლო რეგულაციებს, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციებს და საერთაშორისო პრაქტიკას.

საკრედიტო კომიტეტი

კომიტეტის ფუნქციები და უფლებამოსილება:

- ყველა ტიპის საკრედიტო (სესხი, ოვერდრაფტი, გარანტია, აკრედიტივი) განაცხადის განხილვა და საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება სესხის დამტკიცების/არდამტკიცების (გაცემის პირობების) შესახებ;
- დასაკრედიტებელი პროექტის შესახებ დამატებითი მოთხოვნების წამოყენება პროექტის ხელახალი განხილვის მიზნით;
- კონკრეტულ სესხთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პარამეტრების – გენერალური სახელშეკრულებო ლიმიტის, სესხის ლიმიტის, ვალუტის, ვადიანობის, სესხის სტრუქტურის, უზრუნველყოფის, უზრუნველყოფის ღირებულების, დაზღვევის, ბანკისთვის ინიციატორის სტრატეგიულობის (აუცილებლობის შემთხვევაში სტრატეგიულ კლიენტებზე საბლანკო და/ან ნაწილობრივ უზრუნველყოფილი სესხების დამტკიცება), წლიური საპროცენტო განაკვეთის, ანგარიშზე მინიმალური ბრუნვის მოთხოვნის, ვადაგადაცილების და სესხის წინასწარი დაფარვის საჯარიმო განაკვეთის, სესხის გაცემის საკომისიოს, სესხთან დაკავშირებული საბანკო ტარიფების, მიზნობრიობის, შეზღუდვების და ა. შ დადგენა, გაუქმება და/ან ცვლილების შეტანა;
- სესხების რესტრუქტურირებაზე (პროლონგაცია, ვადაგადაცილება, გარესაბალანსო ანგარიშზე სესხის გადატანა, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის კორექტირება, დარიცხული პროცენტის/ჯარიმის პატიება) გადაწყვეტილების მიღება სახელშეკრულებო პარამეტრების ჩათვლით და საჭიროების შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოსადმი მიმართვა დადებითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით;
- ჩამოწერას დაქვემდებარებული სესხების საბალანსო ანგარიშებიდან გარესაბალანსო ანგარიშებზე გადატანის, სარგებლის/საჯარიმო განაკვეთის დარიცხვის გაგრძელების/

COLLECTIVE AUTHORITY

For the purpose of efficient operation of the Bank, a number of issues are considered and approved by several collective authorities, committees, whose activities are based on the Articles of Association and approved by internal regulations of the Bank, legislative standards, recommendations of the international financial institutions and the International Best Practice.

Credit Committee

The Functions and Scope of the Committee:

- consideration of all types of credit (loan, overdraft, guarantee, letter of credit) applications and decisions on the approval/disapproval of the issuance terms thereof;
- for the purpose of its further consideration, additional requirements regarding a project eligible for crediting;
- determination, cancellation and/or alteration of the contract parameters for a specific loan, such as the general contract and loan limits, currency, term, loan structure, security and the value thereof, insurance, strategic importance of the initiator (borrower) to the Bank (if required, approval of the unsecured or partly secured loans to the strategic customers), the annual interest rate, minimal turnover in the account, the delayed and advance payment penalties, loan issuance commission, Bank tariffs, purpose, restrictions etc.
- decision-making on restructuring the loans (prolongation, delayed payment, loan placement in the off-balance account, adjustment of the loan loss reserve, release from interest/penalty payment) and, if required, soliciting the Supervisory Board approval;
- decision-making on transfer of the loans subject to write-off from balance to the off-balance accounts, prolongation/termination of charging the interest/penalty, transfer of the non-performing loans to the Distressed Asset Management Division, return of the loan from the Distressed Asset Management Division to that of the Corporate Business Crediting or the Credit Division of a service center, institution of the court / arbitration/enforcement proceedings regarding a non-performing loan, change/termination thereof;

შენწყვეტის, პრობლემური სესხის პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებისთვის გადაცემის, პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებიდან სესხის კორპორაციული ბიზნესის დაკრედიტების განყოფილებისთვის ან სერვისცენტრის საკრედიტო განყოფილებისთვის დაბრუნების, პრობლემურ სესხზე სასამართლო/საარბიტრაჟო/სააღსრულებო საქმის წარმოების დაწყების/ცვლილების/შენწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

- საკრედიტო პორტფელის პერიოდული ანალიზი, როგორც წესი, კვარტალში ერთხელ და შესაბამისი რეაგირება კონკრეტულ სესხებზე გადაწყვეტილებების მითითებით. თითოეული სესხის მიმართ დანაკარგების რეზერვის ნორმის კორექტირება, რაც ეყრდნობა კლიენტის კოორდინატორის და/ან რისკების მართვის დეპარტამენტის მონიტორინგის დასკვნებს, სესხების ადმინისტრირების განყოფილების მონაცემებს, ასევე ბანკის შიდა აუდიტის შესაბამის დასკვნებს და რეკომენდაციებს;

- პრობლემური სესხების შესახებ დასკვნების განხილვა და სამოქმედო გეგმის შემუშავება საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი

კომიტეტის ფუნქციები და უფლებამოსილება:

- აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის საქმიანობის ძირითად ამოცანაა აქტივ-პასივების მართვის პოლიტიკის ბანკის სტრატეგიასა და სხვა პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

- ბანკის აქტივებისა და პასივების ეფექტური მართვის საფუძვლზე, ხელი შეუწყოს ბანკში მობილიზებული რესურსების ოპერატიული მართვის პროცესს, მათი ლიკვიდურ და შემოსავლიან აქტივებში ოპტიმალური განთავსების პირობით;

- ვალდებულებათა და განთავსებათა სასურველი მოცულობებისა და პარამეტრების (ვალიანობა, სარგებელი და ა. შ) განსაზღვრა;

- მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაწესებული, ეკონომიკური ნორმატივების დაცვის მიზნით, შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და მის შესრულებაზე კონტროლი.

რისკის მართვის კომიტეტი

რისკის მართვის კომიტეტის ფუნქციებს განეკუთვნება:

- რისკის მართვის სტრატეგიების განსაზღვრა;
- რისკის (საკრედიტო, საოპერაციო, საბაზრო, ლიკვიდობის, საპროცენტო, სავალუტო და ა. შ) მართვის პოლიტიკის ფორმულირება (ოპერაციებზე ლიმიტების დადგენა,

- analysis (commonly on a quarterly basis) of the credit portfolio and decision-making on individual loans; adjustment of the loss reserve for each loan on the grounds of the customer coordinator and/ or the Risk Management Department opinions, the Loan Administration Division data and opinions, as well as recommendations of the Bank’s internal audit;

- consideration of the opinions regarding non-performing loans and development of an action plan for the final decision.

Asset-Liability Management Committee

The Functions and Scope of the Committee:

- the main task of the Asset-Liability Management Committee is ensuring compliance of the asset-liability management policy with the strategy policies of the Bank, etc.;

- support to the operational management of the Bank resources by efficient administration of its assets and liabilities, i.e. their favorable placement in the liquid and profitable assets;

- definition of the desirable volume and parameters (terms, interest, etc.) of the liabilities and placement of the resources;

- for the purpose of compliance with the prudential standards set by the regulatory authorities, development of an adequate policy and control over its implementation.

Risk Management Committee

The Functions of the Committee:

- definition of the risk management strategies;

- development of the risk (credit, operational, market, liquidity, interest, currency, etc.) management policy (determination of the transaction limits, procedures, etc.) and approval of the changes thereto;

- selection/approval of the risk management methods and models;

პროცედურების განსაზღვრა და ა. შ) და მასში შესატანი ნებისმიერი ცვლილების დამტკიცება;

- რისკის მართვის მეთოდების და მოდელების შერჩევა/ დამტკიცება;

- რისკის მართვის პროცესის რეგულარული კონტროლი;

- საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჩვეულებრივი პროცედურებისგან განსხვავებულ ბიზნესგადაწყვეტილებებთან (არატიპური), როგორებიცაა გადაწყვეტილებები ბიზნესის მნიშვნელოვან გაფართოებასთან დაკავშირებით, რომელიც განსხვავდება ბანკის ადრე დამტკიცებული ბიზნესგეგმისგან, ან რისკის განწევა დადგენილი ლიმიტის გადაჭარბებით.

ბიზნეს პროცესების მართვის კომიტეტი

კომიტეტის პირდაპირი ფუნქციებია:

- ახალი საბანკო პროდუქტების განხილვა და დამტკიცება;

- განახლებული საბანკო პროდუქტების განხილვა და დამტკიცება;

- როგორც ახალ, ასევე განახლებულ საბანკო პროდუქტთან დაკავშირებული დოკუმენტების ფორმისა და შინაარსის განხილვა და დამტკიცება;

- ბიზნესპროცესების ბლოკქემებისა და მისი დამხმარე დოკუმენტების განხილვა და დამტკიცება;

- ოპტიმიზირებული, არსებული ბიზნესპროცესების ბლოკქემებისა და მისი დამხმარე დოკუმენტების განხილვა და დამტკიცება.

მარკეტინგის კომიტეტი

კომიტეტის ძირითადი ფუნქციებია შემდეგი საკითხების განხილვა და დამტკიცება:

- პროდუქტების განყოფილების მიერ წარდგენილი საბანკო პროდუქტების ტარიფები (ახალი ტარიფის განხილვა, არსებულის ცვლილება);

- მარკეტინგული მასალების დიზაინი და შინაარსი;

- ქსელის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები (ბანკომატები და ფილიალები);

- ლონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები;

- კორპორაციულ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული საკითხები.

- continuous control over the risk management;

- issues associated with atypical business decisions, such as significant enlargement of a business different from the business plan approved by the Bank or taking risk in excess of the set limit.

Business Process management Committee

Direct functions of the Committee:

- consideration and approval of new Bank products;

- consideration and approval of upgraded Bank products;

- consideration and approval of the form and content of the documents regarding both the new and upgraded Bank products;

- consideration and approval of the charts and supplementary documents regarding the business processes;

- consideration and approval of the charts and supplementary documents regarding the optimized business processes.

Marketing Committee

The main functions of the Committee shall be the consideration and approval of:

- tariffs of the Bank products recommended by the Product Division (consideration of new tariffs, changes to those in place);

- a design and content of the marketing materials;

- the network development issues (ATMs and branches);

- events;

- the issues relating to the corporate manual.

აუდიტის კომიტეტი

კომიტეტის ძირითადი მიზანია სამეთვალყურეო საბჭოს საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების ხელშეწყობა და მისი ობიექტური ინფორმირება შემდეგი საკითხების შესახებ, ესენია:

- ▶ ბანკის ფინანსური ანგარიშგების სისრულე და საიმედოობა;
- ▶ შიდა აუდიტის დეპარტამენტის გამართული ფუნქციონირება;
- ▶ გარე აუდიტორის დამოუკიდებლობა და კვალიფიკაცია, აგრეთვე მის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი, მოცულობა და მომსახურების ანაზღაურება;
- ▶ ბანკის შიდა კონტროლის სისტემების და რისკების მართვის საიმედოობა და ეფექტურობა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების კომიტეტი

კომიტეტის ძირითადი მიზანია ბანკის ბიზნესისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების მაქსიმალური გამოყენების უზრუნველყოფა, ასევე ბანკში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების რესურსების და სერვისების ეფექტიანობის და კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა, მათი ტექნიკური და ადამიანური რესურსების განვითარებისთვის წანამძღვრების და პირობების შექმნა, პერსპექტიული საშუალებების ათვისებისა და ახალი სერვისების შექმნის, მოზიდვის და უკვე არსებულის განვითარებისთვის ხელშეწყობა.

Audit Committee

The main objective of the Committee is to support the implementation of the Supervisory Board functions and supply of accurate information on the issues below:

- ▶ completeness and reliability of the Bank's financial statements;
- ▶ adequate operation of the Internal Audit Department;
- ▶ independence and due qualifications of the external auditor, the quality and scope of his/her service and the service fee;
- ▶ reliability and efficiency of the Bank's internal control systems and risk management.

IT Committee:

The main objective of the Committee is to support the Bank business through ensuring an adequate IT, defining efficiency and competitiveness of the Bank's IT resources and services, creating adequate conditions for the IT development in terms of maintenance and human resources, facilitating the creation and acquisition of the new, state of the art IT and the development of the one in place.



სამართლებრივი რეგულირება

2015 წელი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იურიდიული საკითხების ოპტიმიზაციის მხრივ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კონტროლის მექანიზმს, კიდევ უფრო დაიხვეწა სამართლებრივი დოკუმენტაციები და მასთან დაკავშირებული პროცედურები, რამაც გააუმჯობესა მომხმარებლისა და, ზოგადად, საბანკო მომსახურების პროცესი.

საერთაშორისო ურთიერთობები

2015 წლის განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უშუალო ძალისხმევითა და მონაწილეობით ჩატარდა მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება, აღსანიშნავია შემდეგი:

საერთაშორისო რეიტინგი:

2015 წლის მიღწევებს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ბანკისთვის ერთი განსაკუთრებული მოვლენა, კერძოდ: ცნობილი სარეიტინგო სააგენტომ „Fitch“, ჩატარებული საფუძვლიანი კვლევის შედეგად, 2015 წლის 30 სექტემბერს „ბანკი ქართუ“-ს მიანიჭა IDR-ის (Issuer default Rating) რეიტინგი „B+ სტაბილური პერსპექტივა“.

საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობა

წელს ბანკი წარმატებით აგრძელებს სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობას:

- ▶ მოკორესპონდენტო ბანკების ქსელის ოპტიმიზაციის მიზნით, ივლისში თურქულ ბანკში AKTIF Bank გაიხსნა საკორესპონდენტო ანგარიშები ევროში, აშშ-ისა და თურქულ ვალუტაში;
- ▶ ბანკის ერთ-ერთმა კორესპონდენტმა – „კომერცბანკმა“ სს „ბანკი ქართუ“-ს სასარგებლოდ გაზარდა დადგენილი საკრედიტო ლიმიტები სახაზინო და დოკუმენტურ ოპერაციებზე;
- ▶ აქტიური თანამშრომლობის შედეგად, 2015 წელს დაინერგა სწრაფი ფულადი გზავნილების ახალი სისტემა „Золотая Корона“.

საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობა

- ▶ წლის დასაწყისში სს „ბანკი ქართუ“-ს წარმომადგენლები დაესწრნენ საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო პალატისა და საბანკო კომისიის სხდომას (ICC Georgia, Banking Commission) საერთაშორისო ვაჭრობის თემებზე;
- ▶ 2015 წელს ქ. თბილისში ჩატარდა BSTDB-ის წლიური ბიზნეს ფორუმი და EBRD ყოველწლიური კრება-ბიზნესფორუმი, რომელშიც „ბანკი ქართუ“, ასევე, აქტიურად მონაწილეობდა.

LEGAL REGULATIONS

2015 was notable for optimization of legal issues. Special attention was paid to control over the prevention of legalization of the illicit incomes, the relevant documentation and procedures were adjusted, which resulted in better banking services to our customers.

INTERNATIONAL RELATIONS

Here are some of the accomplishments of the Bank's International Relations Department in 2015:

International Rating:

The IDR (Issuer Default Rating) "B+ Stable Prospects" award granted to JSC Cartu Bank on 30 September 2015 as a result of a detailed survey taken by the "Fitch" rating company.

Relationships with Financial Institutions:

In 2015, the Bank maintained relationships with various financial institutions:

- ▶ for the sake of optimization of the correspondent banks, in July, correspondent accounts in USD, euro and Turkish Lira were opened with the Turkish AKTIF Bank;
- ▶ "Commerzbank", our correspondent bank increased the credit limits for treasury and documentary operations in favor of JSC Cartu Bank;
- ▶ as a result of close cooperation, Zolotaya Korona – a new kind of fast remittance was launched.

Participation in International Forums

- ▶ in the early 2015, some of the JSC Cartu Bank officers attended ICC Georgia - Banking Commission Forum on International Trade;
- ▶ in 2015, the Georgian capital Tbilisi hosted annual EBRD and BSTDB assemblies and a business forum both at tended by Cartu Bank.



მოკორესკონდენსო ბანკები

Curr	Correspondent Bank	SWIFT/BIC	Account No
CHF	Commerzbank AG, Frankfurt am Main	COBADEFF	400886618800CHF
EUR	Aktif Yatirim Bankasi A.S, Istanbul, TR	CAYTTRIS	TR71001430000000002006884
EUR	*Deutsche Bank AG, Frankfurt am Main	DEUTDEFF	947490910
EUR	*Commerzbank AG, Frankfurt am Main	COBADEFF	400886618800EUR
EUR	Société Générale, Paris La Défense	SOGEFRPP	001013708320
EUR	PAO ROSBANK, Moscow, Russia	RSBNRUMM	30111978400000020975
GBP	*Deutsche Bank AG, Frankfurt am Main	DEUTDEFF	947490910
GBP	Commerzbank AG, Frankfurt am Main	COBADEFF	400886618800GBP
RUB	ZAO Raiffeisenbank, Moscow	RZBMRUMM	30111810200000000002
RUB	PAO ROSBANK, Moscow, Russia	RSBNRUMM	30111810500000020975
TRY	Aktif Yatirim Bankasi A.S, Istanbul, TR	CAYTTRIS	TR87001430000000002006887
USD	Aktif Yatirim Bankasi A.S, Istanbul, TR	CAYTTRIS	TR44001430000000002006885
USD	Areximbank-Gazprombank Group CJSC, Yerevan	RKASAM22	100530102
USD	*Deutsche Bank Trust Company Americas, New York	BKTRUS33	04417110
USD	Deutsche Bank AG, Frankfurt am Main	DEUTDEFF	947490900
USD	Commerzbank AG, Frankfurt am Main	COBADEFF	400886618800USD
USD	PAO ROSBANK, Moscow, Russia	RSBNRUMM	30111840800000020975

ბანკის ოფისები

BANK OFFICES

თბილისი/TBILISI:

ცენტრალური სერვისცენტრი
Central Service Center

ი. ჭავჭავაძის გამზ., N39ა
#39a I. Chavchavadze Ave.

ვაკის სერვისცენტრი
Vake Service Center

ი. აბაშიძის ქ., N24
#24 I. Abashidze St.

საბურთალოს სერვისცენტრი
Saburtalo Service Center

პეკინის ქ., N14ბ
#14b Peking St.

მთანმინდის სერვისცენტრი
Mtatsminda Service Center

ვ. ვეკუას ქ., N1
#1 V. Vekua St.

ისნის სერვისცენტრი
Isani Service Center

ქეთევან დედოფლის გამზ./ბოჭორმის ქ. N50/18
50/18 Ketevan Dedopali Ave./Bochormi St.

რეგიონები/REGIONS:

ბათუმის სერვისცენტრი
Batumi Service Center

ა. გრიბოდოვის ქ., N2
#2 Griboedov St.

ქუთაისის სერვისცენტრი
Kutaisi Service Center

ბ. ფალიაშვილის ქ., N4
#4 Z. Paliashvili St.

გორის სერვისცენტრი
Gori Service Center

სტალინის გამზ., N10
#10 Stalin Ave.

თელავის სერვისცენტრი
Telavi Service Center

ი. ჭავჭავაძის მოედანი
I. Chavchavadze Sq.

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ჯგუფი ბანკი ქართუ

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოებენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-3
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:	
მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიში	4
სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიში	
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში	5
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიში	6
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში	7-8
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:	
1. ორგანიზაცია	9
2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	9
3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და არასარწმუნოების განსაზღვრის ძირითადი წყაროები	26
4. ახალი და რედაქტირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება	28
5. წმინდა საპროცენტო შემოსავალი	34
6. გაუფასურების დანაკარგებისა და სხვა რეზერვები	35
7. წმინდა ზარალი მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე	36
8. წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	36
9. საკომისიო შემოსავალი და ხარჯი	36
10. სხვა შემოსავალი/(ხარჯები)	37
11. საოპერაციო ხარჯები	37
12. მოგების გადასახადი	37
13. ფული და ფულის ექვივალენტები	39
14. ფულის მინიმალური სავალდებულო რეზერვი სებ-ში	39
15. მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	39
16. მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	40
17. კლიენტებზე გაცემული სესხები	40
18. გასაყიდად განკუთვნილი ინვესტიციები	44
19. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	45
20. ძირითადი საშუალებები	46
21. სხვა აქტივები	47
22. ბანკების დეპოზიტები	48
23. კლიენტების დეპოზიტები	48
24. სხვა ვალდებულებები	49
25. სუბორდინირებული სესხი	50
26. სხვა ნასესხები სახსრები	51
27. სააქციო კაპიტალი	51
28. პირობითი ვალდებულებები	51
29. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	53
30. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	55
31. კაპიტალის რისკის მართვა	57
32. რისკის მართვის პოლიტიკა	59
33. შემდგომი მოვლენები	75

ჯგუფი ბანკი ქართუ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება ბანკი ქართუს („ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების კონსოლიდირებულ შედეგებს, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობასა და კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2016 წლის 10 მაისს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
ნატალია ხაინდრავა

2016 წ. 10 მაისი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
მანანა ნადირაძე

2016 წ. 10 მაისი
თბილისი, საქართველო

ღამოუპიღებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება ბანკი ქართუს აქციონერებსა და ღირექტორთა საბჭოს:

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება ბანკის ქართუს და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და შიდა კონტროლის სისტემის უზრუნველყოფაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ მიიჩნევა აუცილებლად ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკის ნორმებთან შესაბამისობას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. ამ რისკების შეფასებისას არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა საწარმოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული დაშვებების შესაფერისობისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

*2016 წ. 10 მაისი
თბილისი, საქართველო*

ჯგუფი ბანკი ქართუ

მომგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიში
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2015	2014
უწყვეტი ოპერაციები			
საპროცენტო შემოსავალი	5, 29	111,065	64,618
საპროცენტო ხარჯი	5, 29	(29,329)	(15,331)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებზე განუფასურების დანაკარგების ღარიშპრპპპპპ		81,736	49,287
საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	6, 29	(32,912)	(5,347)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		48,824	43,940
წმინდა მოგება/(ზარალი) მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე	7	32,841	(3,062)
წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	8	5,645	2,337
საკომისიო შემოსავალი	9, 29	6,805	4,877
საკომისიო ხარჯი	9	(3,992)	(3,231)
სხვა ოპერაციების რეზერვის (შექმნა)/აღდგენა	6	(1,257)	2,234
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)	10	9,791	(3,505)
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი)		49,833	(350)
საოპერაციო შემოსავალი		98,657	43,590
საოპერაციო ხარჯები	11, 29	(29,849)	(19,538)
მომგება მოგების გადასახდამდე		68,808	24,052
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(9,867)	(3,828)
წლის წმინდა მოგება		58,941	20,224
განეკუთვნება:			
დამფუძნებლის აქციონერები		58,940	20,336
უმცირესობის წილი		1	(112)
		58,941	20,224

ღირეკტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირეკტორი
 ნატალია ხაინდრაგა

2016 წ. 10 მაისი
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
 მანანა ნადირაძე

2016 წ. 10 მაისი
 თბილისი, საქართველო

9-75 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ჯგუფი ბანკი ქართუ

სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიში
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2015	2014
წლის წმინდა მოგება		<u>58,941</u>	<u>20,224</u>
კომპონენტები, რომლებიც შემდგომში შესაძლოა მოგება-ზარალში რეკლასიფიცირდეს:			
წლის განმავლობაში გასაყიდად არსებული ინვესტიციების გადაფასებით წარმოშობილი წმინდა მოგება		3,408	1,544
გადატანილია წლის მოგებაში		(1,832)	0
მოგების გადასახადი	12	<u>(236)</u>	<u>(232)</u>
სხვა სრული შემოსავლები მოგების გადასახადის შემდეგ		<u>1,340</u>	<u>1,312</u>
განეკუთვნება:			
დამფუძნებლის აქციონერები		60,280	21,648
უმცირესობის წილი		<u>1</u>	<u>(112)</u>
		<u>60,281</u>	<u>21,536</u>

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
ნატალია ხაინდრავა

2016 წ. 10 მაისი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
მანანა ნადირაძე

2016 წ. 10 მაისი
თბილისი, საქართველო

9-75 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ჯგუფი ბანკი ქართუ

**ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანბარიში
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)**

	შენიშვნა	დეკემბერი 31, 2015	დეკემბერი 31, 2014
აქტივები:			
ფული და ფულის ექვივალენტები	13	173,671	83,636
ფულის ფულის სავალდებულო ბალანსი სებ-ში	14	76,835	43,120
მოგება-ზარალიში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	16	38,111	20,728
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	15	2,192	4,892
კლიენტებზე გაცემული სესხები	17, 29	824,618	543,035
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	18	10,017	8,441
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	19	18,919	10,768
ძირითადი საშუალებები	20	15,866	12,802
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები	12	249	249
სხვა აქტივები	22	31,478	34,841
სულ აქტივები		1,192,724	762,512
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები:			
ბანკების დეპოზიტები	22	55,257	54
კლიენტების დეპოზიტები	23, 29	597,946	319,687
სხვა ნასესხები თანხები	26	41,911	5,324
სხვა რეზერვები	6, 29	1,992	702
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულება		6,255	930
სხვა ვალდებულებები	24	13,452	7,654
გადავადებული მოგების გადასახადი ვალდებულებები	12	10,762	10,635
სუბორდინირებული სესხები	25, 29	188,744	135,402
სულ ვალდებულებები		916,319	480,388
კაპიტალი:			
ბანკის აქციონერებზე განაწილებული კაპიტალი:			
სააქციო კაპიტალი	27	114,430	114,430
დამატებით შეტანილი კაპიტალი		9,424	9,424
გასაყიდად არსებული რეზერვები		8,464	7,124
გაუნაწილებელი მოგება		144,094	151,154
სულ ბანკის აქციონერებზე განაწილებული კაპიტალი		276,412	282,132
უმცირესობის წილი		(7)	(8)
სულ კაპიტალი		276,405	282,124
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,192,724	762,512

დირექტორთა საბჭოს სახელით:

**გენერალური დირექტორი
ნატალია ხაინდრავა**

2016 წ. 10 მაისი
თბილისი, საქართველო

**მთავარი ბუღალტერი
მანანა ნადირაძე**

2016 წ. 10 მაისი
თბილისი, საქართველო

9-75 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ჯგუფი ბანკი ქართუ

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიში
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გასაყიდად არსებული რეზერვი	გაუნა- წილებელი მოგება	სულ ბანკის აქციონე- რებზე განაწი- ლებული კაპიტალი	უმცირე- სობის წილი	სულ კაპი- ტალი
1 იანვარი, 2014		114,430	25,676	5,812	130,818	276,736	104	276,840
პერიოდის მოგება წლის სხვა სრული შემოსავალი, მოგების გადასახადის გარეშე		-	-	-	20,336	20,336	(112)	20,224
კომბინირებული ფინანსური ინსტრუმენტის გაუქმების დანაკარგი		-	(19,120)	-	-	(19,120)	-	(19,120)
კომბინირებული ფინანსური ინსტრუმენტის გაუქმებას თან დაკავშირებული მოგების გადასახადი		-	2,868	-	-	2,868	-	2,868
დეკემბერი 31, 2014		114,430	9,424	7,124	151,154	282,132	(8)	282,124
პერიოდის მოგება წლის სხვა სრული შემოსავალი, მოგების გადასახადის გარეშე		-	-	-	58,940	58,940	1	58,941
გაცემული დივიდენდები		-	-	-	(66,000)	(66,000)	-	(66,000)
		-	-	1,340	-	1,340	-	1,340
31 დეკემბერი, 2015		114,430	9,424	8,464	144,094	276,412	(7)	276,405

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
ნატალია ხაინდრაგა

2016 წ. 10 მაისი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
მანანა ნადირაძე

2016 წ. 10 მაისი
თბილისი, საქართველო

9-75 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ჯგუფი ბანკი ქართუ

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	2015	2014
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება მოგების გადასახადამდე:	66,386	24,052
კორექტირებები:		
გაუფასურების დანაკარგების რეზერვი საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებზე	32,912	5,347
სხვა ოპერაციების რეზერვის (შექმნა)/აღდგენა	1,217	(2,234)
წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	(2,770)	(2,666)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	1,848	1,639
მოგება შეიღობილ კომპანიაში ფლობილი წილის გასხვისებიდან	(4,778)	-
მოგება გასაყიდად განკუთვნილი ინვესტიციების გაყიდვიდან	(1,832)	-
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება	(1,991)	(2,458)
დასაკუთრებული აქტივებისა და ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება	(692)	(633)
რთული ფინანსური ინსტრუმენტის გაუქმებით გამოწვეული ზარალი	-	4,820
წმინდა ზარალი მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებზე	(16,245)	3,061
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	76,477	30,928
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში (ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში:		
სავალდებულო ფულის ბალანსი სებ-ში	(30,635)	(22,725)
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	2,785	5,888
კლიენტებზე გაცემული სესხები	(253,836)	(124,244)
სხვა აქტივები	2,880	(3,947)
ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:		
ბანკების დეპოზიტები	52,831	(23,439)
კლიენტების დეპოზიტები	251,203	124,246
სხვა ვალდებულებები	2,717	(502)
ფულადი სახსრების შემოდინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან, დაბეგვრამდე	104,422	(13,795)
გადახდილი მოგების გადასახადი	(4,651)	(1,232)
წმინდა ფულადი სახსრების შემოდინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან	99,771	(15,027)

ჯგუფი ბანკი ქართუ

**ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიში
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქელეა)
(ათასობით ლარში)**

შენიშვნა	2015	2014
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეხვედვა	(6,990)	(1,779)
შემოსავალი ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან	162	192
შემოსავალი გასაყიდად განკუთვნილი ინვესტიციების რეალიზაციიდან	1,832	-
შემოსავალი შვილობილ კომპანიაში ფლობილი წილის რეალიზაციიდან	8,428	-
შემოსავალი მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან	-	(5)
დასაკუთრებული ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	2,424	21,018
დასაკუთრებული ქონებების შექმნა	(23)	(3,901)
გასაყიდად არსებული ინვესტიციების შეხვედვა	(18,456)	(10,698)
შემოსავალი დაფარვის ვადაზე ფლობილი ინვესტიციების რეალიზაციიდან	10,899	5,952
წმინდა ფულადი სახსრების (გადინება)/შემოდინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,724)	10,779
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:		
სხვა ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსავალი	41,911	5,311
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა	(5,311)	-
გადახდილი დივიდენდები	(66,000)	-
შემოსავალი სუბორდინირებული სესხიდან	26,956	-
სუბორდინირებული სესხის დაფარვა	(9,323)	-
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება/(გადინება) საფინანსო საქმიანობიდან	(11,767)	5,311
ფულსა და ფულის ექვივალენტებზე უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი	3,755	5,149
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	90,025	6,212
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში	83,636	77,424
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს	173,671	83,636

ჯგუფის მიერ 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის გადახდილმა და მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 23,144 და 115,425 ლარი, შესაბამისად.

ჯგუფის მიერ 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის გადახდილმა და მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 17,058 და 60,172 ლარი, შესაბამისად.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
ნატალია ხაინდრავა

2016 წ. 10 მაისი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
მანანა ნადირაძე

2016 წ. 10 მაისი
თბილისი, საქართველო

9-75 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

1. ორბანიზაცია

სააქციო საზოგადოება “ბანკი ქართუ” (შემდგომში “ბანკი”) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 1996 წლიდან. ბანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი (“ნებ”). ბანკი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს №229 გენერალური ლიცენზიის საფუძველზე. ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული საქმიანობა, სესხების და გარანტიების გაცემა, ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით, უცხოური ვალუტით, აგრეთვე დეპოზიტებით სარგებლობა.

ბანკის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 39ა.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს გააჩნდა ხუთი სერვის ცენტრი თბილისში, აგრეთვე თითო სერვის-ცენტრი გორში, თელავში, საჩხერეში, ქუთაისსა და ბათუმში.

ბანკი წარმოადგენს ჯგუფის (შემდგომში “ჯგუფი”) დამფუძნებელ კომპანიას, რომელიც შედგება ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებული შემდეგი პირებისგან:

სახელწოდება	საქმიანობის ქვეყანა	ბანკის მფლობელობის საპროცენტო წილი (%)		საქმიანობის ტიპი
		2015	2014	
საბროკერო კომპანია შპს “ქართუ ბროკერი”	საქართველო	100.00%	100.00%	საბროკერო
“სადაზღვევო კომპანია ქართუ” შპს	საქართველო	82.27%	82.27%	დაზღვევა
სს “სმს”	საქართველო	0%	100.00%	უძრავი ქონება

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სს ქართუ ჯგუფი (საქართველო) ფლობდა ბანკის აქციების 100%.

2015 წლის 20 ნოემბერს ბანკმა გაასხვისა სს „სმს“-ში ფლობილი 100%-იანი წილი. სს „სმს“-ის მთავარ აქტივს წარმოადგენდა 2012 წელს ბანკის მიერ გადაცემული ერთი დასაკუთრებული აქტივი.

უტა ივანიშვილი არის ძირითადი აქციონერი, რომელიც აკონტროლებს ჯგუფის ოპერაციებს.

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2016 წლის 10 მაისს.

2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქაშა)
(ათასობით ლარში)

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებითვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების გამოთვლისას ბანკი ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, სამართლიანი ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ სამართლიანი ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად სამართლიანი ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ბანკი და მისი კონსოლიდირებული კომპანიები რეგისტრირებულნი არიან საქართველოში და აწარმოებენ საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საგადასახადო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) აღდგენის ან ანგარიშსწორების ანალიზი წარმოდგენილია 33-ე შენიშვნაში.

ფუნქციონალური ვალუტა

ჯგუფის ყველა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ღირებულებები დამრგვალებულია უახლოეს ათასებამდე ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ჯგუფი მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშში არ ქვითავს შემოსავლებსა და ხარჯებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაქვითვა მოითხოვება რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, ან ჯგუფის ბუღალტრული პოლიტიკით.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქველა)
(ათასობით ლარში)

კონსოლიდაციის საფუძველი

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბანკისა და მის მიერ კონტროლირებადი საწარმოების, ასევე მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი ხორციელდება, როდესაც

- ბანკს გააჩნია ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე;
- ბანკს ეძლევა ან აქვს უფლება, მოითხოვოს ინვესტირების ობიექტთან საქმიანი ურთიერთობის შედეგად მიღებული ამონაგები; და
- ბანკს შეუძლია მის ხელთ არსებული ძალაუფლება გამოიყენოს ამონაგებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით.

ბანკი შეაფასებს აქვს თუ არა ინვესტირების ამა თუ იმ ობიექტზე კონტროლი, თუ გარემოებები მიუთითებს, რომ კონტროლის ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან მეტ ელემენტში მოხდა ცვლილება.

თუ ინვესტირების ობიექტში ბანკს გააჩნია ხმის უფლების უმრავლესობაზე ნაკლები, მას ინვესტირების ობიექტში ძალაუფლება ექნება იმ შემთხვევაში, თუ მის ხელთ არსებული ხმის უფლებები საკმარისია მისთვის ობიექტის სათანადო საქმიანობის ცალმხრივად გაძღოლის პრაქტიკული შესაძლებლობის მისანიჭებლად. იმის შესაფასებლად, საკმარისია თუ არა მის ხელთ არსებული ხმის უფლებები ძალაუფლების მისანიჭებლად, ბანკი ითვალისწინებს ყველა შესაბამის ფაქტსა და გარემოებას, მათ შორის:

- ბანკის მიერ ფლობილი ხმის უფლებების მოცულობას ხმის დანარჩენი უფლებების წილთან და განაწილებასთან შედარებით;
- ბანკის, სხვა ხმის უფლებათა მქონე თუ სხვა მხარეთა მიერ ფლობილ პოტენციურ ხმის უფლებებს;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოშობილ უფლებებს; და
- ყველა დამატებით ფაქტსა და გარემოებას, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ ბანკს აქვს ან არ აქვს შესაძლებლობა, გადაწყვეტილების მიღების საჭიროების შემთხვევაში, წარმართოს შესაბამისი საქმიანობა, მათ შორის აქციონერთა წინა კრებებზე ხმათა განაწილების სქემებს.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდირება იწყება, როდესაც ბანკი იძენს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და სრულდება, როდესაც ბანკი ამ კონტროლს კარგავს. კერძოდ, წლის განმავლობაში შექმნილი ან გასხვივებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშში შედის ბანკის მიერ კონტროლის მიღების დღიდან ბანკის მიერ კონტროლის დაკარგვის დღემდე.

საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები კორექტირდება ჯგუფის მიერ გამოყენებულ ბუღალტრულ პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ჯგუფის ყველა შიდა ვალდებულება, ასევე კაპიტალი, ტრანზაქციებთან დაკავშირებული შემოსავალი, ხარჯები და ფულადი სახსრების მოძრაობა კონსოლიდაციის დროს სრულად ბათილდება.

არასაკონტროლო წილი

არასაკონტროლო წილი წარმოადგენს შვილობილი კომპანიების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, ასევე წმინდა აქტივების წილს, რომელიც არ არის პირდაპირ ან არაპირდაპირ ბანკის მფლობელობაში.

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრელები)
(ათასობით ლარში)

მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშსა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშში არასაკონტროლო წილი წარმოდგენილია ცალკე, ხოლო ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში იგი შედის კაპიტალში დამფუძნებელი აქციონერი კომპანიის კაპიტალისაგან დამოუკიდებლად.

არსებულ შეიღობილ კომპანიებში ჯგუფის მიერ ფლობილი წილების ცვლილება

ჯგუფის მიერ შეიღობილ კომპანიებში ფლობილი წილების ისეთი ცვლილება, რომელიც არ იწვევს ამ კომპანიაზე ჯგუფის კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება, როგორც წილობრივი ტრანზაქცია. ჯგუფის მიერ ფლობილი წილებისა და არასაკონტროლო წილის საბალანსო ღირებულება ისე კორექტირდება, რომ მათში აისახოს შეიღობილ კომპანიაში ფარდობითი წილის ცვლილება. სხვაობა არასაკონტროლო წილის კორექტირებულ ოდენობასა და გადახდილი ან მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას შორის პირდაპირ აღიარდება კაპიტალში და მიეკუთვნება ჯგუფის მფლობელებს.

ჯგუფის მიერ შეიღობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვის შემთხვევაში, შემოსავალი ან ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალში და გამოითვლება, როგორც სხვაობა შემდეგ ელემენტებს შორის: (1) მიღებული ანაზღაურებისა და შენარჩუნებული წილის სამართლიანი ღირებულებების ჯამი და (2) შეიღობილი კომპანიის აქტივების (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებების, ასევე არასაკონტროლო წილის წინა საბალანსო ღირებულებები. სხვა სრულ შემოსავლებში მოცემულ შეიღობილ კომპანიათა დაკავშირებით მანამდე აღიარებული ყველა თანხა აღირიცხება ისე, თითქოს ჯგუფმა შეიღობილი კომპანიის აქტივები და ვალდებულებები პირდაპირ გაასხვისა (ანუ გადაიტანა მოგება-ზარალში ან კაპიტალის სხვა კატეგორიაში შესაბამისი ფასს-ის მიხედვით). კონტროლის დაკარგვის დღეს ყოფილ შეიღობილ კომპანიაში შენარჩუნებული ინვესტიციის სამართლიანი ღირებულება, შემდგომი აღრიცხვის მიზნით, ბასს 39-ის მიხედვით, განიხილება, როგორც სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას, ანუ დაკავშირებულ მხარეებში ან ერთობლივ ნაწარმოებში განხორციელებული ინვესტიციის თვითღირებულება თავდაპირველი აღიარებისას.

შემოსავლების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ფინანსური აქტივიდან საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ ჯგუფში მოხდება ეკონომიკური სარგებლის შემოდინება და შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებული ღირებულების გამოთვლას, რომლის საშუალებით საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგებების ხარჯების, სხვა ფასნამატებისა და დისკონტების განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული დანაკარგების გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქელეა)
(ათასობით ლარში)

გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

საკომისიო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

სესხის საკომისიო გადასახადი ექვემდებარება გადავადებას მასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღირიცხება როგორც სესხის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. სადაც სავარაუდოა რომ სასესხო ვალდებულებამ წარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიო გადავადება დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღიარდება როგორც კორექტირება სესხის ეფექტურ განაკვეთზე. სადაც არ არის მოსალოდნელი, რომ სასესხო ვალდებულებამ წარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგება-ზარალში სასესხო ვალდებულების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც სასესხო ვალდებულების ხელშეკრულების ვადა იწურება შედეგად სასესხო ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვადის ამოწურვის დღეს. სესხის მომსახურების საკომისიო შემოსავლად აღიარდება მომსახურების გაწევისას. სინდიცირებული სესხის გაცემის საკომისიო მოგება-ზარალში აღიარდება სინდიკატის პროცესის დასრულებისას.

ყველა სხვა საკომისიოს აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

საიჯარო შემოსავლის აღიარება

საიჯარო შემოსავლის აღიარების პოლიტიკა წარმოდგენილია შენიშვნების ქვეთავში „იჯარები“.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აისახება ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეგულარული ხასიათის შესყიდვისა და გაყიდვის აღიარება ხორციელდება ანგარიშსწორების თარიღის შესაბამისი მდგომარეობით. ჩვეულებრივი შესყიდვები და გაყიდვები არის ფინანსური აქტივების ისეთი შესყიდვა ან გაყიდვა, რომელიც მოითხოვს აქტივის მიწოდებას რეგულირებით ან ბაზარზე არსებული შეთანხმებით დადგენილ ვადაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება სამართლიანი ღირებულებით. გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: „მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები“, „დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები“, „გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები“ და „სესხები და მოთხოვნები“. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სპეციფიკასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იმ შემთხვევაში კლასიფიცირდება მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივად, თუ ფინანსური აქტივი გასაყიდად არსებულ

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქაშა)
(ათასობით ლარში)

ფინანსურ აქტივად კლასიფიცირდება, ან მოგება-ზარალის მეშვეობით აისახება სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია გასაყიდად არსებულად ხორციელდება, როდესაც:

- შესყიდულია ახლო მომავალში გაყიდვის მიზნით; ან
- თავდაპირველი აღიარებისას წარმოადგენს იდენტიფიცირებადი ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილს, რომლებიც ერთობლივად იმართება და არსებობს მათგან მოკლევადიანი მოგების მიღების ობიექტური მაჩვენებელი; ან
- განეკუთვნება დერივატივებს და არ მიიჩნევა ჰეჯირების ეფექტურ ინსტრუმენტად).

ფინანსური აქტივები, სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივების გამოკლებით, მოგება-ზარალში თავდაპირველი აღიარებისას იმ შემთხვევაში შეიძლება აისახოს სამართლიანი ღირებულებით, თუ:

- ამგვარი ასახვით ბათილდება, ან მნიშვნელოვნად მცირდება მოსალოდნელი შეუსაბამობა აღიარებასა თუ შეფასებაში;
- ფინანსური აქტივი შეადგენს ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების, ან ორივე ჯგუფის ნაწილს, რომელიც იმართება და ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ჯგუფის დოკუმენტირებული რისკის მართვის ან ინვესტირების სტრატეგიის შესაბამისად, და დაჯგუფების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა შიდა მოხმარებისათვის მათ საფუძველზე ხორციელდება; ან
- იგი წარმოადგენს იმ კონტრაქტის ნაწილს, რომელიც მოიცავს ერთ, ან მეტ ჩართულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს და ბასს 39 “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება” ნებას იძლევა ერთიანი კომბინირებული კონტრაქტი (აქტივი ან ვალდებულება) სამართლიანი ღირებულებით აისახოს მოგებასა და ზარალში.

სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით აისახება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში გადაფასებისას წარმოქმნილი მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით. წმინდა მოგება ან ზარალი, რომელიც მოგება-ზარალში აისახება, მოიცავს ფინანსურ აქტივზე მიღებულ ყველა დივიდენდსა და საპროცენტო შემოსავალს და შედის "სხვა მოგება და ზარალისა" და "საპროცენტო შემოსავლის" ჯგუფში მოგება-ზარალის უწყისში.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები წარმოადგენს არადერივატიულ ფინანსურ აქტივებს განსაზღვრადი ან ფიქსირებული გადახდებით. ჯგუფს აქვს განზრახვა და შესაძლებლობა შეინახოს აღნიშნული ფასიანი ქაღალდები დაფარვის ვადის დადგომამდე. ამგვარი ფასიანი ქაღალდების ასახვა ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდზე დაფუძნებული ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების დანაკარგების რეზერვის გამოკლებით.

იმ შემთხვევაში თუ ჯგუფი იძულებული იქნება დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები (გამონაკლისი სპეციფიური გარემოებების გარდა) დაფარვის ვადამდე გაყიდოს, ან მოახდინოს მათი რეკლასიფიკაცია, ამას მთელ კატეგორიაზე ექნება გავლენა და საჭირო გახდება მათი რეკლასიფიკაცია გასაყიდად არსებულად. უფრო მეტიც, შემდეგი ორი წლის განმავლობაში ჯგუფს ეკრძალება ნებისმიერი ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების სახით.

გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები

გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები წარმოადგენს არადერივატიულ აქტივებს, რომლებიც ან გასაყიდად არის გამიზნული, ან არ კლასიფიცირდება როგორც (ა) სესხები

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქველი)
(ათასობით ლარში)

და მოთხოვნები, (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან (გ) მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები.

ჯგუფის მიერ ფლობილი, აქტიურ ბაზარზე კოტირებული აქციები კლასიფიცირდება გასაყიდად არსებულ ინვესტიციებად და აისახება სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულების ცვლილებით გამოწვეული მოგება და ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავლებში და გროვდება ინვესტიციების გადაფასების რეზერვში. აღნიშნული არ ეხება არადროებითი გაუფასურების დანაკარგებს, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილ საპროცენტო სარგებელს, დივიდენდურ შემოსავალსა და მონეტარულ აქტივებზე ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებულ მოგებასა და ზარალს, რომელიც მოგება-ზარალში აისახება. ინვესტიციის გაყიდვის ან გაუფასურების შემთხვევაში, მანამდე ინვესტიციების გადაფასების რეზერვში დაგროვილი მთლიანი მოგება ან ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში არსებული, გასაყიდად განკუთვნილი ფულადი აქტივების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმავე ვალუტით და ითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებული გაცვლითი კურსით. მოგება-ზარალში ასახული უცხოური ვალუტიდან მიღებული მოგება და ზარალი აღიარდება ფულადი აქტივის ამორტიზებული ღირებულების საფუძველზე. უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებული სხვა მოგება და ზარალი აისახება სხვა სრულ შემოსავლებში.

გასაყიდად არსებული ინვესტიციები კაპიტალში, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე და რომელთა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ვერ ხერხდება, ფასდება თვითღირებულებით თითოეული ანგარიშგების პერიოდის დასასრულისათვის დადგენილი გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯის გამოკლებით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და სხვა მოთხოვნები (მათ შორის, ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული მოთხოვნები, კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა ფინანსური აქტივები) განსაზღვრული ან ფიქსირებული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული მოქმედ ბაზარზე, კლასიფიცირდება როგორც „სესხები და მოთხოვნები“. სესხები და მოთხოვნები გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებას ექვემდებარება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გარდა იმ მოკლევადიანი მოთხოვნების პროცენტისა, რომელიც არ არის არსებითი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურების საფუძვლის შეფასება ხდება ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოსათვის, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა, რომელიც აისახება მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი, ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციებიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაზე.

გასაყიდად არსებულ ინვესტიციებად კლასიფიცირებულ კაპიტალში არაკოტირებულ ინვესტიციების გაუფასურების ობიექტურ მაჩვენებლად ითვლება ფასიანი ქაღალდის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი, ან ხანგრძლივი შემცირება თვითღირებულებასთან შედარებით.

ყველა სხვა ფინანსური აქტივის შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს:

- გამომშვების, ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსურ სირთულეებს; ან
- ხელშეკრულების დარღვევას, რაც გულისხმობს პროცენტის, ან ძირითადი თანხის გადახდის უნარობას, ან თავის არიდებას; ან

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქველი)
(ათასობით ლარში)

- პროცენტის, ან ძირითადი თანხის გადაუხდელობას; ან
- მსესხებლის გაკოტრებას, ან ფინანსურ რეორგანიზაციას; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფინანსური აქტივის მოქმედი ბაზრის გაუქმებას.

ფინანსური აქტივების გარკვეული კატეგორიის შემთხვევაში, მაგალითად როგორცაა სესხები და მოთხოვნები, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის გაუფასურებული, დამატებით ფასდება ჯგუფური გაუფასურების თვალსაზრისით. სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური საფუძველი მოიცავს ჯგუფის წარსულ გამოცდილებას გადახდებთან მიმართებაში, პორტფელში ვადაგადაცილებული გადახდების რაოდენობის ზრდასა და ეროვნული, ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების თვალსაჩინო ცვლილებებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მოთხოვნების ამოუღებლობასთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება კორექტირებას.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით, გარდა სესხებისა და მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სესხის, ან მოთხოვნის ამოღების შესაძლებლობა ამოწურულია იგი ჩამოიწერება სარეზერვო ანგარიშის გამოყენებით. ჩამოწერილი ღირებულების შემდგომი აღდგენა კრედიტად ირიცხება დანაკარგების ანგარიშზე. გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების ანგარიშის ცვლილება აისახება მოგება-ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დანაკარგების თანხის შემცირება აღიარების მომდევნო პერიოდში ობიექტურად შეიძლება დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ მოვლენებს, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების დანაკარგები კორექტირდება მოგება-ზარალში იმ ოდენობით, რომ ინვესტიციების საბალანსო ღირებულებამ გაუფასურების რეზერვის კორექტირების თარიღისათვის არ გადააჭარბოს იმ ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც იქნებოდა გაუფასურების არაღიარების შემთხვევაში.

სესხები შეცვლილი პირობებით

სადაც შესაძლებელია, ჯგუფი ცდილობს უზრუნველყოფის დასაკუთრების მაგივრად მოახდინოს სესხის რესტრუქტურისა. ეს შეიძლება მოიცავდეს გადახდის გრაფიკის გაზრდასა და ახალი სესხის პირობებზე შეთანხმებას. პირობების შეცვლის შემდეგ ნებისმიერი გაუფასურება იანგარიშება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, როგორც გამოითვლებოდა პირობების მოდიფიკაციამდე და სესხი აღარ ითვლება გადავადებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად განიხილავს სესხებს რომელთა პირობები შეიცვალა, რათა უზრუნველყოს ყველა კრიტერიუმთან შესაბამისობა და მომავალში გადახდების დაწყება. სესხები კვლავ ექვემდებარება ინდივიდუალურ ან ჯგუფურ შეფასებას გაუფასურების თვალსაზრისით, რაც გამოითვლება სესხის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით.

სესხებისა და ავანსების ჩამოწერა

სესხებისა და ავანსების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვის გამოყენებით. სესხები და ავანსები

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქაშა)
(ათასობით ლარში)

ექვემდებარება ჩამოწერას იმ შემთხვევაში თუ ხელმძღვანელობამ ამოწურა ჯგუფის მიმართ მოთხოვნების ამოღების ყველა შესაძლებლობა. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა ხდება ფინანსური აქტივების გაუფასურების გაქვითვით და კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში აღდგენის პერიოდში აისახება.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოწურება, ან თუ ჯგუფი სხვა საწარმოს გადასცემს ფინანსური აქტივებს და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს. თუ ჯგუფი არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ჯგუფი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივის და მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

ფინანსური აქტივის მთლიანობაში აღიარების შეწყვეტისას, აქტივის საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თუ მისაღები ანაზღაურებებისა და სხვა სრულ მოგება-ზარალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მოგების ან ზარალის ჯამს შორის სხვაობა ექვემდებარება აღიარებას მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, გარდა მთლიანი შეწყვეტისა (მაგალითად, როდესაც ჯგუფი ინარჩუნებს უფლებას გამოისყიდოს გადაცემული აქტივის ნაწილი, ან როდესაც ინარჩუნებს გარკვეულ მონაწილეობას აქტივში, გარდა ისეთი მონაწილეობისა, რომლის შედეგად ჯგუფი ძირითადად ინარჩუნებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და შემოსავალს და შესაბამის კონტროლს), ჯგუფი ანაწილებს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტამდე არსებულ საბალანსო ღირებულებას გადაცემისას არსებული შენარჩუნებული წილისა და იმ ნაწილის სამართლიან ღირებულებებს შორის, რომლის აღიარებაც შეწყდა. აქტივის იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც შეწყდა, გადანაწილებულ საბალანსო ღირებულებასა და ამ ნაწილისთვის მიღებულ მთლიან ანაზღაურებას შორის სხვაობა, სხვა სრული მოგება-ზარალის ანგარიშში აისახული ნებისმიერი დაგროვილი მოგებისა თუ ზარალის გათვალისწინებით, უნდა აღიარდეს მოგება-ზარალში. დაგროვილი მოგება ან ზარალი რომელიც აღიარებულია სხვა სრული მოგება-ზარალის ანგარიშში უნდა გადანაწილდეს აქტივის შენარჩუნებულ ნაწილსა და იმ ნაწილს შორის, რომლის აღიარებაც შეწყდა, მათი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები და გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიკაცია სესხის ან კაპიტალის სახით

ჯგუფის წევრის მიერ გამოშვებული სესხი და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულებები ან კაპიტალი კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების არსის, ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებიდან გამომდინარე.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ჯგუფის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრელები)
(ათასობით ლარში)

კომბინირებული ინსტრუმენტები

ჯგუფის მიერ გამოშვებული კომბინირებულ ინსტრუმენტებში შემავალი ნაწილები ცალკე კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულებები და კაპიტალი კონტრაქტის პირობების შესაბამისად. გამოშვების დღეს ვალდებულებების კომპონენტის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მსგავსი არაკონვერტირებადი ინსტრუმენტისათვის ბაზარზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთით. ეს თანხა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საშუალებით ამორტიზებული ღირებულებით აისახება როგორც ვალდებულება სანამ დაიფარება კონვერტაციისას, ან გადაიხდება ინსტრუმენტის დაფარვის თარიღისათვის.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც „მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები“ ან „სხვა ფინანსური ვალდებულებები“.

მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულება მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულად ითვლება, თუ იგი განკუთვნილია გასაყიდად ან დასახელებულია მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულად.

ფინანსური ვალდებულება გასაყიდად განკუთვნილად კლასიფიცირდება, თუ:

- მისი გაწევა მოხდა უახლოეს მომავალში გამოსყიდვის მიზნით; ან
- თავდაპირველი აღიარებისას იგი წარმოადგენდა ჯგუფის მიერ ერთობლივად მართვადი, იდენტიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილს და მას გააჩნია მოკლევადიანი მოგების მიღების რეალური სქემა; ან
- იგი არის წარმოებული ინსტრუმენტი, რომელიც არ არის დასახელებული და არ მოქმედებს, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი.

სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას შეიძლება დასახელდეს მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულად, თუ:

- ამგვარად დასახელება აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს სხვაგვარად წარმოქმნილ შეუსაბამობას აღიარებასა თუ შეფასებაში; ან
- ეს ფინანსური ვალდებულება წარმოადგენს ისეთი ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის ნაწილს, რომელიც იმართება და რომლის შედეგები ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ჯგუფის დოკუმენტურად გაფორმებული რისკის მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად და, რომელთა დაჯგუფების შესახებ ინფორმაცია ამავე საფუძველზე შემუშავდება; ან
- იგი წარმოადგენს ისეთი კონტრაქტის ნაწილს, რომელიც მოიცავს ერთ ან მეტ ჩართულ წარმოებულ ინსტრუმენტს, ხოლო ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა“ იძლევა მთლიანად კონტრაქტის (აქტივის ან ვალდებულების) მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებად დასახელების საშუალებას.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი კონტრაგენტ ბანკებთან ვალუტების გასაცვლელად აფორმებს ურთიერთგაქვითვის დეპოზიტებს. მართალია, ამგვარი დეპოზიტები სამართლებრივად დამოუკიდებელი ანგარიშებია, ისინი ჯგუფდება და აღირიცხება, როგორც ერთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი (სავალუტო სვოპი) წმინდა ღირებულების საფუძველზე, თუ (ა) დეპოზიტები ერთდროულად და ერთმანეთის გათვალისწინებით გაიხსნა, (ბ) მათი კონტრაგენტი ერთი და იგივეა, (გ) მათთან დაკავშირებული რისკი ერთი და იგივეა და (დ) არ არსებობს

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქაშა)
(ათასობით ლარში)

ტრანზაქციების ცალცალკე სტრუქტურირების საფუძველი, თუ ეს ტრანზაქციები შეიძლება ერთ ტრანზაქციად განხორციელდეს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველ აღიარებას ექვემდებარება სამართლიანი ღირებულებით გარიგების დადების დღისათვის და შესაბამისად გადაფასება ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის არსებული სამართლიანი ღირებულებით.

ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღირიცხება აქტივად, თუ მისი სამართლიანი ღირებულება დადებითია და, აღირიცხება ვალდებულებად, თუ მისი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ინსტრუმენტის ბუნებიდან გამომდინარე, მისი სამართლიანი ღირებულების ცვლილება მოგება-ზარალში შედის, როგორც წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების მოგება/(ზარალი) ან უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებული მოგება/(ზარალი).

ჩადებული წარმოებული ინსტრუმენტები

ჩადებული წარმოებული ინსტრუმენტი არის ფინანსური ინსტრუმენტების ნაწილი, რომელიც აგრეთვე მოიცავს არაწარმოებულ ძირითად კონტრაქტს. ჩადებული წარმოებული ინსტრუმენტი მოითხოვს, რომ საკონტრაქტო ფულადი ნაკადების გარკვეული ნაწილი შეიცვალოს ცვლადის ცვლილების შესაბამისად, მაგალითად:

- მისი ღირებულება იცვლება გარკვეულ საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური ინსტრუმენტის ფასის, სასაქონლო ფასის, უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის, ფასების ან ტარიფების ინდექსის, საკრედიტო რეიტინგის ან საკრედიტო ინდექსის თუ სხვა არაფინანსური ცვლადის ცვლილების შესაბამისად, თუ ეს ცვლადი არ არის მხოლოდ კონტრაქტის რომელიმე მხარის მახასიათებელი;
- ის არ საჭიროებს წინასწარ წმინდა ინვესტიციას ან მოთხოვნილი წმინდა ინვესტიციის თანხა არის უფრო ნაკლები, ვიდრე ეს იქნებოდა სხვა ისეთი ტიპის კონტრაქტისათვის, რომელსაც ახასიათებს ანალოგიური რეაქცია საბაზრო ფაქტორების ცვლილებებთან მიმართებაში; და
- მისი გასტუმრება ხდება მომავალ თარიღში.

არაწარმოებულ ძირითად კონტრაქტებში ჩადებული წარმოებული ინსტრუმენტები დამოუკიდებელ წარმოებულ ინსტრუმენტებად განიხილება, თუ ისინი აკმაყოფილებს ამგვარის განსაზღვრებას, რისკები და მახასიათებლები არ არის მჭიდროდ დაკავშირებული ძირითად კონტრაქტებთან, ხოლო ეს უკანასკნელი არ აღირიცხება მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღიარებულ ფინანსურ აქტივებად.

ჯგუფი არ მიმართავს ჰეჯირების აღრიცხვას.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები, ბანკებისა და კლიენტების დეპოზიტების, ნასესხები სახსრების, სუბორდინირებული სესხებისა და სხვა ვალდებულებების ჩათვლით, თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები, შესაბამისად, ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით საპროცენტო ხარჯის აღიარების პარალელურად ეფექტური მოგების საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებას და რომლის საშუალებით საპროცენტო ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრელები)
(ათასობით ლარში)

წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში (სადაც მართებულია), ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტები

ფინანსური გარანტიის კონტრაქტი წარმოადგენს, კონტრაქტს, რომელიც ითვალისწინებს გამომწვევის მიერ ანაზღაურების გადახდას, იმ შემთხვევაში, თუ გარანტიის მფლობელი სასესხო ინსტრუმენტის თავდაპირველი, ან მოდიფიცირებული პირობების შესაბამისად ვერ შეძლებს დროულად გადახდას.

ჯგუფის მიერ გაცემული ფინანსური გარანტიის კონტრაქტები თავდაპირველ აღიარებას ექვემდებარება სამართლიანი ღირებულებით, და შემდგომში ფასდება მეტი თანხით მომდევნო თანხებს შორის:

- თანხა, რომელიც აღიარებულია რეზერვის სახით, ბასს 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“-ს შესაბამისად; და
- თავდაპირველად აღიარებული ღირებულებით და სადაც მართებულია, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით შემოსავლების აღიარების პოლიტიკის საფუძველზე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურად ითვლება მაშინ, როდესაც იჯარის პირობებით მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს. ყველა სხვა სახის იჯარა ითვლება საოპერაციო იჯარად.

ჯგუფი, როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში. საოპერაციო იჯარის გაფორმებისას გაწეული საწყის პირდაპირი დანახარჯები ემატება იჯარით გაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებას და აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იჯარით აღებული აქტივიდან მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სქემას სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს. საოპერაციო იჯარიდან წარმოქმნილი პირობითი გადასახდელები ხარჯად აღიარდება მათი გაწევის პერიოდში.

საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად შედავათების მიღების შემთხვევაში, ამგვარი შედავათები აღიარდება ვალდებულებად. შედავათების მთლიანი სარგებელი წრფივად აღიარდება, როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება. აღნიშნული არ ეხება ისეთ შემთხვევებს,

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქაქა)
(ათასობით ლარში)

როდესაც სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს იჯარით მიღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების ვადას.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, თავისუფალ სახსრებს საკორესპონდენტო და ვადიან სადეპოზიტო ანგარიშებზე საქართველოს ეროვნულ ბანკში ოთხმოცდაათ დღემდე დაფარვის თავდაპირველი ვადით, და თანხებს საფინანსო ინსტიტუტებში ოთხმოცდაათ დღემდე დაფარვის თავდაპირველი ვადით, რომლებიც თავისუფალია ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებებისგან.

საქართველოს ეროვნული ბანკის სავალდებულო მინიმალური რეზერვები

ეროვნული ბანკის სავალდებულო მინიმალური რეზერვი გულისხმობს სავალდებულო რეზერვის ოდენობას, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობის დასაფინანსებლად და შესაბამისად, ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშში არ აისახება ფულსა და ფულის ექვივალენტებში.

დასაკუთრებული ქონება

გარკვეულ გარემოებებში აქტივების დაბრუნება ხდება კრედიტის გადაუხდელობის შემთხვევაში. ჯგუფი დასაკუთრებულ ქონებას განიხილავს, როგორც დეფოლტის მდგომარეობაში მყოფი სესხის თანხების ანგარიშსწორების ფორმას და თვლის, რომ იგი არის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას შესყიდული და გასაყიდად განკუთვნილი აქტივი. დასაკუთრებული ქონების თავდაპირველი შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, შემდეგ კი – საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უმცირესი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად განთავსებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთის აღიარება ხორციელდება აქტივების ღირებულების ან გადაფასების ხარჯების ჩამოწერის მიზნით (გარდა უპირობოდ ფლობილი მიწებისა და დაუმთავრებელი მშენებლობისა) მათი სასარგებლო მოხმარების პერიოდის ნარჩენი ღირებულების გამოკლებით წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის, ნარჩენი ღირებულებისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დაშვებებში ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

შენობები და სხვა უძრავი ქონება	2%-3%
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	10%-20%
საოფისე და კომპიუტერული მოწყობილობა	10%-33%
სხვა	5%-20%
არამატერიალური აქტივები	10%

მიწა არ ექვემდებარება ცვეთას.

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების გაუმჯობესებაზე ცვეთა ითვლება მათთან დაკავშირებული იჯარით აღებული აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდის

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქაქა)
(ათასობით ლარში)

მიხედვით. რემონტისა და გაუმჯობესების ხარჯები აისახება გაწვევისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს ან ექვემდებარება კაპიტალიზაციას თუ არსებობს ამის საკმარისი საფუძველი.

ძირითადი საშუალებების ერთეული ჩამოიწერება რეალიზაციისას, ან იმ შემთხვევაში თუ მათი გამოყენების შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. ძირითადი საშუალებების ერთეულების ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში აქტივის რეალიზაციისას.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი ექსპლუატაციის ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დაშვებებში ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება რეალიზაციისას, ან იმ შემთხვევაში თუ მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. არამატერიალური აქტივის ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახება მოგება-ზარალსა და სხვა სრულ შემოსავლებში აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება გუდვილის გარდა

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი განიხილავს ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება გაუფასურების მასშტაბების განსაზღვრისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა, ჯგუფი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ინდივიდუალურ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა მართებული განაწილების საფუძველი არსებობს.

განუსაზღვრელი სასარგებლო მოხმარების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები და მოსახმარებლად ხელმიუწვდომელი არამატერიალური აქტივები გაუფასურებაზე მოწმდება წლიურად და ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მათი გაუფასურების რაიმე ნიშანი.

ანაზღაურებადი ღირებულება არის უმეტესი, ერთი მხრივ, სამართლიან ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას, და, მეორე მხრივ, გამოყენებად ღირებულებას შორის. გამოყენებადი ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირდება არსებული საპროცენტო განაკვეთით გადასახადების გამოკლებით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების ბაზრისეულ შეფასებას და აქტივისათვის დამახასიათებელ იმ რისკებს, რომელთა საფუძველზე სამომავლო ფულადი ნაკადების კორექტირება არ მომხდარა.

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრელები)
(ათასობით ლარში)

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გამოყენებადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება მოგებასა და ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების დანაკარგები აისახება, როგორც შემცირება გადაფასების შედეგად.

გაუფასურების გაუქმების შემთხვევაში აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება გაუქმებული თანხით ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს ნარჩენ ღირებულებას, რომლის აღიარებას ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების დანაკარგების აღიარება არ განხორციელდებოდა. გაუფასურების დანაკარგების გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ აისახება გადაფასებული ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების დანაკარგების აღდგენა განიხილება როგორც გადაფასების ზრდა.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა საანგარიშგებო პერიოდისათვის.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი წარმოიქმნება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა სხვაობაზე შესაბამის დასაბეგრ ბაზასთან, რომელიც გამოიყენება დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისათვის. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომელსაც გამოაკლდება გამოსაქვითი დროებითი სხვაობა. აქტივების და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი განსხვავება გამოწვეულია გუდვილის, ან აქტივების და ვალდებულებების პირველადი აღიარებით იმ ოპერაციებში (საწარმოთა გაერთიანების გარდა), რომელიც ზემოქმედებას არ ახდენს როგორც საგადასახადო მოგებაზე ასევე ბუღალტრულ მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარებას ექვემდებარება დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რაც თავს იჩენს ინვესტიციებში შვილობილ და მკავშირე საწარმოებში, ძირითად საშუალებებში, კლიენტებზე გაცემულ სესხებში და რეზერვებში, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც ჯგუფი აკონტროლებს ცვლილებას და ახლო მომავალში ამ დროებითი სხვაობის რეზერვის წარმოქმნა არ არის ნავარაუდები. ამგვარ ინვესტიციებთან დაკავშირებული გამოსაქვითი დროებითი სხვაობებიდან წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება, თუ საგადასახადო მოგება დროებითი სხვაობის მოგების უტილიზაციისათვის სავარაუდოდ საკმარისი იქნება და ახლო მომავალში ამ დროებითი სხვაობის რეზერვის წარმოქმნა ივარაუდება.

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქელეა)
(ათასობით ლარში)

გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულება ექვემდებარება გადახედვას ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის და მცირდება იმდენად, რამდენადაც აღარ არსებობს საკმარისი დასაბეგრი მოგების მოლოდინი, რომელიც გამოყენებული იქნება ყველა აქტივის ან აქტივების ნაწილის აღსადგენად.

გადავადებული გადასახადის აქტივები და ვალდებულებები იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების გასტუმრების ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის საფუძველზე (საგადასახადო კანონმდებლობა), რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რომლებიც მოყვება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების აღდგენას, ან დაფარვას.

წლის მიმდინარე და გადავადებული გადასახადები

მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აისახება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის აისახება სხვა სრულ მოგება-ზარალში, ან პირდაპირ კაპიტალში. ასეთ შემთხვევაში მიმდინარე და გადავადებული გადასახადები ასევე აისახება შესაბამისად სხვა სრულ მოგება-ზარალში, ან პირდაპირ კაპიტალში. თუ მიმდინარე ან გადავადებული გადასახადი წარმოიშობა ბიზნესის გაერთიანების თავდაპირველი აღრიცხვით, საგადასახადო ეფექტი შედის ბიზნესის გაერთიანების აღრიცხვაში.

საოპერაციო გადასახადები

საქართველოს ასევე გააჩნია სხვა გადასახადები, რომლებიც განისაზღვრება ჯგუფის საქმიანობიდან გამომდინარე. ეს გადასახადები მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშში აისახება როგორც საოპერაციო ხარჯების ნაწილი.

რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე (იურიდიული ან პირობითი) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომელთა დაფარვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება და აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

რეზერვად აღიარებული თანხა წარმოადგენს ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად ფინანსური მდგომარეობის საანგარიშგებო პერიოდისათვის ვალდებულების გარშემო რისკებისა და უზუსტობების არსებობის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ რეზერვი გამოითვლება ფულადი სახსრების მოძრაობიდან მათი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას (სადაც არსებითია ფულის ღირებულება დროში).

იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ ყველა ეკონომიკური სარგებელი, რომელიც საჭიროებს რეზერვის ფორმირებას, დაიფარება მესამე მხარის მიერ, მოთხოვნები აისახება აქტივებში, თუკი გადახდა ნამდვილად სარწმუნოა და მოთხოვნის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქაშა)
(ათასობით ლარში)

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ აღიწერება ფინანსურ ანგარიშგების შენიშვნებში, სანამ არ განხდება სახსრების გადინების შესაძლებლობა. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშგების შენიშვნებში იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა ნავარაუდები.

უცხოური ვალუტა

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის ფუნქციონირებადი ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ექვემდებარება გადაფასებას ამ თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სამართლიანი ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები გადაფასებას ექვემდებარება მათი სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში ფასდება ისტორიული ღირებულების გათვლისწინებით და არ ექვემდებარება გადაფასებას.

ჯგუფმა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა შემდეგი გაცვლითი კურსები:

	<u>დეკემბერი 31, 2015</u>	<u>დეკემბერი 31, 2014</u>
ლარი/1 აშშ დოლარი	2.3949	1.8636
ლარი/1 ევრო	2.6169	2.2656

უზრუნველყოფა

ჯგუფი უზრუნველყოფას ითხოვს კლიენტების ვალდებულებებზე, სადაც ეს ითვლება მართებულიად. ჩვეულებრივ, უზრუნველყოფა გულისხმობს კლიენტის აქტივების დაყადაღებას და ჯგუფს აძლევს ამ აქტივების მოთხოვნის უფლებას, როგორც არსებულ, ასევე მომავალ ვალდებულებებზე.

კაპიტალის რეზერვები

ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ უწყისში, კაპიტალში ასახული რეზერვები მოიცავს გასაყიდად არსებულ რეზერვს, რომელშიც, თავის მხრივ, შედის გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილება.

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქაშა)
(ათასობით ლარში)

3. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

ჯგუფის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას, რომელიც აღწერილია მე-2 შენიშვნაში, ხელმძღვანელობა ვაღიფიქრებს განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას გაკეთებული კრიტიკული დაშვებები

ქვემოთ წარმოდგენილია კრიტიკული დაშვებები (იხილეთ ქვემოთ), იმ ვალდებულების გარდა, რომლებიც ხელმძღვანელობამ გააკეთა ჯგუფის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენების პროცესში და რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები

ჯგუფის ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები კაპიტალის შენარჩუნებისა და ლიკვიდობის მოთხოვნების ჭრილში და დაადასტურა, რომ ჯგუფს გააჩნია განზრახვა და უნარი ფლობდეს მათ დაფარვის ვადამდე. 2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შესაბამისად შეადგენს 18,919 და 10,768 ლარს. ამ აქტივების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-19 შენიშვნაში.

შეფასებების არასარწმუნოების მთავარი წყაროები

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასების არასარწმუნოების მომავალ და სხვა ძირითად წყაროებთან დაკავშირებული შემდეგი უმთავრესი დაშვებები, რომელთაც გამოიწვიეს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურება

ჯგუფი რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებსა და მოთხოვნებს გაუფასურების შეფასების მიზნით. გაუფასურების დანაკარგების აღიარების მიზნით ჯგუფი საკუთარი სესხებისა და მოთხოვნების პორტფელში ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს. ჯგუფი სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებულ ბუღალტრულ დაშვებებს მიიჩნევს შეუსაბამობის მთავარ წყაროდ, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, იმის გამო რომ მომავალი გადაუხდელობის შეფასება და გაუფასურებულ სესხებთან და ავანსებთან დაკავშირებული დანაკარგების განსაზღვრა დაფუძნებულია იმ პერიოდისთვის არსებულ ინფორმაციაზე და (II) ჯგუფის მიერ განსაზღვრულ დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიწვიებს ჯგუფის მხრიდან რეზერვების ისეთ კორექტირებას, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხის შემთხვევაში შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს მომავალი პერიოდების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ეყრდნობა პროფესიულ განსჯას ნებისმიერი გაუფასურების დასადგენად იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და ისტორიული გამოცდილების მონაცემები მსგავსი მსესხებლების შესახებ მწირია. ჯგუფი ფულადი სახსრების მოძრაობაში ცვლილებებს განსაზღვრავს წინა პერიოდის

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქაშა)
(ათასობით ლარში)

გამოცდილებაზე და ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს უარყოფით ცვლილებებზე ჯგუფში შემავალი მსესხებლის გადახდისუნარიანობის და ადგილობრივი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რომლებიც უკავშირდება ჯგუფში შემავალი აქტივების ამოღების შესაძლებლობის არარსებობას. ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებებს იმ აქტივების ისტორიულ დანაკარგებზე დაყრდნობით, რომელთა საკრედიტო რისკების მახასიათებლები და გაუფასურების ობიექტური მანკვებლები მსგავსია სესხების მოცემული ჯგუფისათვის. ჯგუფი ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას იყენებს და აკორექტირებს სესხების ჯგუფის შესახებ არსებულ მონაცემებს იმ მიმდინარე გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც აქამდე არ ასახულა ისტორიულ მონაცემებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განისაზღვრა არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების საფუძველზე. ჯგუფისათვის ამ ეტაპზე რთულია იმის პროგნოზი თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი ამ პირობებში საქართველოში და რა გავლენა ექნება მომავალ პერიოდში ამ ცვლილებებს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობაზე.

2015 და 2014 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემულმა სესხებმა მთლიანად შეადგინა 891,784 და 574,394 ლარი შესაბამისად, ხოლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვმა შეადგინა 67,166 და 31,359 ლარი შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება

ჯგუფი იყენებს შეფასების მეთოდებს ისეთი პირობების ჩათვლით, რომლებიც გარკვეული ტიპის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დადგენისას არ ეფუძნება არსებულ საბაზრო თარიღს, როგორც აღწერილია 30-ე შენიშვნაში. შენიშვნა 30 წარმოადგენს დეტალურ ინფორმაციას ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დადგენისას გამოყენებული უმთავრესი დაშვებების შესახებ და მათი მგრძობიარობის ანალიზს. დირექტორებს მიაჩნიათ, რომ შეფასების შერჩეული მეთოდები და დაშვებები მართებულია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დადგენისათვის.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდი

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისათვის ადგენს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადებს. აქტივის სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენა წარმოადგენს ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანს მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ძირითადი საშუალების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელი მოხმარების, სავარაუდო ტექნიკური მოძველების, ფიზიკური მოხმარებისა თუ ცვეთის და აქტივის ფიზიკურ საოპერაციო გარემოს პარამეტრების. ცვლილებამ რომელიმე ერთ პირობაში ან შეფასებაში შეიძლება გამოიწვიოს ცვეთის/ამორტიზაციის მომავალი განაკვეთის კორექტირება. ფინანსური წლის განმავლობაში ჯგუფის ხელმძღვანელობას ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადები არ შეუცვლია.

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქაშა)
(ათასობით ლარში)

4. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვა

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე მოქმედი, შესწორებული ფასს-ები. მიმდინარე წელს ჯგუფმა დანერგა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რამაც ზეგავლენა მოახდინა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

- შესწორება ბასს 19 - განსაზღვრული საპენსიო გეგმები: თანამშრომელთა შენატანები
- ფასს 2010-2012 წლიური ციკლის შესწორება
- ფასს 2011-2013 წლიური ციკლის შესწორება

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2010-2012 წწ. ციკლი. ფასს-ების 2010-2012 წლების ციკლი მოიცავს რამდენიმე ქვემოთ მოცემულ შესწორებას.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ პირობითი ანაზღაურება, რომელიც აქტივად ან ვალდებულებად კლასიფიცირდება, უნდა გაიზომოს სამართლიანი ღირებულებით საანგარიშო დღეს იმის მიუხედავად, არის თუ არა პირობითი ანაზღაურება ფინანსური ინსტრუმენტი ბასს 39-ის თუ ფასს 9-ის მიხედვით და წარმოადგენს თუ არა იგი არაფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას.

ფასს 13-ის შესწორება განმარტავს, რომ ამ სტანდარტის გამოცემა და ბასს 39-ისა და ფასს 9-ის შემდგომი შესწორებები არ უკარგავს პირს იმის შესაძლებლობას, რომ დისკონტირების გარეშე გაიზომოს ისეთი მოკლევადიანი მოთხოვნები და ვალდებულებები, რომლებსაც საინფორმაციო თანხაში საპროცენტო განაკვეთი დადგენილი არ აქვს, თუ დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა. ეს შესწორებები ძალაში მყისიერად შესულად ითვლება.

ბასს 16-ისა და ბასს 38-ის შესწორებებით აღმოფხვრილია შეუსაბამობები დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაციის აღრიცხვაში ძირითადი საშუალების ან არამატერიალური აქტივების ერთეულის გადაფასებისას. შესწორებული სტანდარტები განმარტავს, რომ მთლიანი საბალანსო ღირებულება კორექტირდება აქტივის საბალანსო ღირებულების გადაფასების შესაბამისი გზით და რომ დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია არის სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის დაგროვილი ცვეთის დანაკარგების გათვალისწინების შემდეგ.

ბასს 24-ის შესწორება განმარტავს, რომ ანგარიშვალდებული პირის დაკავშირებულ მხარედ განიხილება ისეთი მმართველი პირი, რომელიც ამ ანგარიშვალდებულ პირს მმართველობით მომსახურებას უწევს. შესაბამისად, ანგარიშვალდებულმა პირმა დაკავშირებულ პირთან განხორციელებულ ტრანზაქციებზე უნდა ჩათვალოს ის გადახდილი თუ გადასახდელი თანხები, რომლებიც მას დაეკისრა მმართველი პირის მომსახურების მიღების გამო. თუმცა, ამგვარი ანაზღაურების კომპონენტების განმარტების ვალდებულება მას არ აქვს.

ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2011-2013 წწ. ციკლი. ფასს-ების 2011-2013 წლების ციკლი მოიცავს რამდენიმე ქვემოთ მოცემულ შესწორებას.

ფასს 13-ის შესწორება განმარტავს, რომ წმინდა (ნეტ) საფუძველზე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის სამართლიანი ღირებულების გაზომვისას არ გაითვალისწინება ყველა ის კონტრაქტი, რომელიც ექცევა და, შესაბამისად, აღირიცხება ბასს 39-ის ან ფასს 9-ის მიხედვით მაშინაც კი, თუ ეს კონტრაქტები არ აკმაყოფილებს ბასს 32-ით განსაზღვრულ, ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების განსაზღვრებას.

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრელები)
(ათასობით ლარში)

ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბანკს ვადაძვე არ მიუღია რაიმე სხვა სტანდარტი, შესწორება თუ ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ ამოქმედებულა.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

ბანკი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები²;
ფასს 14 - ტარიფების გადავადებული კორექტირების ანგარიშები¹;
ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან²;
ფასს 16 - იჯარა
შესწორებები ფასს 11 - ერთობლივ საქმიანობაში წილის შესყიდვის აღრიცხვა¹;
ბასს 1 - საინიციატივო პროექტის ახსნა-განმარტებითი შენიშვნა¹;
შესწორებები ბასს 16 და ბასს 38 - ცვეთისა და ამორტიზაციის მისაღები მეთოდების განმარტება¹;
შესწორებები ბასს 16 და ბასს 41 - სოფლის მეურნეობა: მსხმოიარე მცენარეები¹;
შესწორებები ბასს 27 - კაპიტალის მეთოდი განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშებში¹;
შესწორებები ფასს 10 და ბასს 28 - აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში¹;
შესწორებები ფასს 10, ფასს 12 და ბასს 28 - საინვესტიციო საწარმოები: გაერთიანების გამონაკლისის გამოყენება¹;
ფასს-ების წლიური რედაქტირების 2012-2014 წწ. ციკლი¹;

1. ძალაშია 2016 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადაძველი გამოყენება დაშვებულია.
2. ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადაძველი გამოყენება დაშვებულია.

ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები”. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს-ში 9 შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, გარკვეული მარტივი სავალო ინსტრუმენტების სხვა სრულ შემოსავლებში სამართლიანი ღირებულებით ასახვის თვალსაზრისით. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია „სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლებით“. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქაშა)
(ათასობით ლარში)

ნაკადების შევროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც წარმოადგენს ძირითადი თანხისა და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინვესტიცია იზომება სამართლიანი ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

- ფინანსური ვალდებულებები ასევე ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.
- **გაუფასურება.** ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი ინარჩუნებს ჰეჯირების აღრიცხვის მექანიზმების სამ ძირითად სახეს, რომელიც დღესდღეობით ასახულია ბასს 39-ში. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯის ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. ასხნა-განმარტებითი შენიშვნებისათვის შემოტანილია გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულო ძალაში შედის 2018 წ. 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე დანერგვა. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშის მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ჯგუფის ხელმძღვანელობის პროგნოზით, მომავალში ფასს 9-ის გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ნაჩვენებ თანხებზე. თუმცა, დეტალური შემოწმების გარეშე ფასს 9-ის ეფექტზე ადეკვატური მსჯელობა არაგონივრული იქნებოდა.

ფასს 14 - ტარიფების გადავადებული კორექტირების ანგარიშები. ფასს 14 მეწარმეს, რომელიც ფასს-ების გამოყენებაზე გადადის, საშუალებას აძლევს, მცირე ცვლილებებით გააგრძელოს ტარიფების გადავადებული კორექტირების ანგარიშგება ძველი, ბუღალტრული

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქაშა)
(ათასობით ლარში)

აღრიცხვის საყოველთაო პრინციპების შესაბამისად როგორც ფასს-ების პირველი გამოყენებისას, ასევე შემდგომ ფინანსურ ანგარიშებში.

ფასს 14-ის გამოყენება ბანკის სამომავლო ფინანსურ ანგარიშებზე ზეგავლენას არ იქონიებს, რადგან ბანკი უკვე იყენებს ფასს-ებით ნაწარმოებ ანგარიშგებას.

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ.

კერძოდ, სტანდარტი გეთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტიპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კონტრაქტის კლიენტთან იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, პირი შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო ღირებულებით ხასიათის ინსტრუქცია დამატა ისეთ თემებს, როგორცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდიხ შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

ბანკის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ აღნიშნული შესწორების გამოყენებას ბანკის ფინანსურ ანგარიშებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს. თუმცა, ამჟამად, დეტალური შემოწმების გარეშე ფასს 15-ის ეფექტზე ადეკვატური მსჯელობა არაგონივრული იქნებოდა.

შესწორება ფასს 16 - იჯარა. ფასს 16 აკონკრეტებს, როგორ უნდა აღიაროს, გაზომოს, წარმოადგინოს და უზენოს ანგარიშგებაში პირმა იჯარა. სტანდარტში მოცემულია მეიჯარის ერთიანი აღრიცხვის მოდელი, რომელიც მეიჯარეს ავალდებულებს, აღიაროს იჯარასთან დაკავშირებული ყველა აქტივი და პასივი, თუ იჯარის ვადა 12 თვე ან ნაკლები არაა, ან თუ შესაბამისი აქტივის ღირებულება საკმარისად მცირე არ არის. მოიჯარეები იჯარას კვლავაც დაყოფენ საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად. ამ თვალსაზრისით, ფასს 16-ის მიდგომა მოიჯარის მიმართ, მთლიანობაში მისი წინამორბედის, ბასს 17-ის მიდგომისგან არ განსხვავდება.

შესწორება ფასს 11 - ერთობლივ საქმიანობაში წილის შესყიდვის აღრიცხვა. ფასს 11 განმარტავს, როგორ უნდა მოხდეს ფასს 3-ის მიერ ბიზნესად განმარტებული ერთობლივი საწარმოს შესყიდვის აღრიცხვა. კერძოდ, შესწორება ამბობს, რომ მეწარმემ უნდა გამოიყენოს ფასს 3-ისა და სხვა სტანდარტების მიხედვით ბიზნესების შერწყმის შესაბამისი პრინციპები (მაგ. ბასს 12 - მოგების გადასახადები შესყიდვის მომენტში გადავადებული

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქაშა)
(ათასობით ლარში)

გადასახადების აღიარების თვალსაზრისით და ბასს 36 - აქტივების გაუფასურება ერთობლივი ოპერაციის შესყიდვისას გუდვილის საკვალიფიკაციო ჯგუფში შესული ფულის მაგენერირებელი ერთეულის გაუფასურებაზე დატესტვა). იგივე მოთხოვნა ერთობლივი საწარმოს ფორმირებასთან დაკავშირებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ასეთ საწარმოში მონაწილე ერთერთი მხარე მასში უკვე არსებულ ბიზნესს შეიტანს.

ერთობლივი მეწარმე აგრეთვე ვალდებულია, ანგარიშში წარმოადგინოს ფასს 3-ითა და სხვა სტანდარტებით მოთხოვნილი შესაბამისი ინფორმაცია.

ეს შესწორება პროსპექტიულად უნდა იყოს გამოყენებული ერთობლივ საწარმოებში წილის შესყიდვაზე (თუ ერთობლივი საწარმოს საქმიანობა ფასს 3-ის მიხედვით ბიზნესს წარმოადგენს) 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებიდან მოყოლებული. ბანკის ხელმძღვანელობის ვარაუდით, ფასს 11-ის შესწორების გამოყენებამ შეიძლება ზეგავლენა იქონიოს მომავალი პერიოდების ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ ასეთი ტრანზაქციები ბანკს გაუჩნდა.

შესწორება ბასს 1 - საინიციატივო პროექტის ახსნა-განმარტებითი შენიშვნა

აღნიშნული შესწორება ინფორმაციის ჩვენების პრინციპებს განმარტავს. განსაზღვრება მნიშვნელოვანადაა გაფართოებული. სტანდარტი აკონკრეტებს მონაცემთა გაერთიანებისა და განცალკევების მოთხოვნებს, განმარტავს, რომ ღირებულებათა სიდიდე ფინანსური ანგარიშგების ყველა ნაწილში გასათვალისწინებელი ფაქტორია მაშინაც კი, როდესაც სტანდარტების მიხედვით, სავალდებულოა ინფორმაციის ჩვენების სიდიდის მიხედვით დადგენილი კრიტერიუმების გამოყენება. სტანდარტი უკეთ განმარტავს, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის წარმოდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშსა და სრული შემოსავლების ანგარიშში, ასევე აკონკრეტებს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების თანმიმდევრობას.

ბასს 1-ის შესწორება ძალაშია 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორების ამოქმედებას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ექნება.

შესწორება ბასს 16 და ბასს 38 – ცვეთისა და ამორტიზაციის მისაღები მეთოდების განმარტება. ბასს 16-ის შესწორება მეწარმეს უკრძალავს ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვას შემოსავლის საფუძველზე. ბასს 38-ის შესწორებას შემოაქვს გაბათილებადი ვარაუდი, რომ შემოსავალი არ წარმოადგენს არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის სათანადო საფუძველს. ეს ვარაუდი მხოლოდ მაშინ შეიძლება გაბათილდეს, როდესაც:

- ა) არამატერიალური აქტივი გამოსატყუია, როგორც შემოსავლის საზომი; ან
- ბ) შეიძლება ჩვენება, რომ შემოსავალი და არამატერიალური აქტივისგან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მოხმარება ერთმანეთთან ახლო კორელაციაშია.

ეს შესწორება ძალაში შედის პროსპექტიულად და ვრცელდება 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებზე. ამჟამად ბანკი ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებს ცვეთასა და ამორტიზაციას არიცხავს წრფივი მეთოდით. ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, წრფივი მეთოდი ყველაზე კარგად ასახავს შესაბამისი აქტივებისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას და, შესაბამისად, მიიხვევს, რომ ამ შესწორებების ამოქმედება იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ბასს 16 და ბასს 41 – სოფლის მეურნეობა: ნაყოფიანი მცენარეები.

აღნიშნული შესწორება განმარტავს ნაყოფიან მცენარეს და მოითხოვს, რომ ამ განსაზღვრების შესაბამისი ბიოლოგიური აქტივები აღირიცხოს ძირითად საშუალებად, ბასს 16-ის და არა ბასს 41-ის შესაბამისად. მცენარის ნაყოფი კვლავაც ბასს 41-ით განმარტებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტად აღირიცხება.

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინანსური
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრქაშა)
(ათასობით ლარში)

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორების ამოქმედება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე რაიმე ზეგავლენას იქონიებს, რადგან ის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული არაა.

შესწორებები ბასს 27 – კაპიტალის მეთოდი განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშებში. ბასს 27-ის შესწორება მეწარმე პირს საშუალებას აძლევს წილობრივი მონაწილეობის მეთოდი, სხვა მეთოდების მსგავსად გამოიყენოს განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შვილობილი კომპანიების, ერთობლივ საწარმოებსა და ასოცირებულ პირებში ჩადებულ ინვესტიციების აღსარიცხად. შესწორება ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვრიდან და მისი წინმსწრები გამოყენება ნებადართულია. ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორების ამოქმედება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე რაიმე ზეგავლენას იქონიებს, რადგან ის განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებას არ ამზადებს.

შესწორებები ფასს 10 და ბასს 28 – აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში. აღნიშნული შესწორება ეხება ისეთ ვითარებას, როდესაც ინვესტორსა და მასთან ასოცირებულ პირსა თუ ერთობლივ საწარმოს შორის ხდება აქტივების ყიდვა-გაყიდვა ან გადაცემა. კერძოდ, შესწორება ამბობს, რომ ისეთი შვილობილი კომპანიის კონტროლის დაკარგვიდან წარმოშობილი მოგება ან ზარალი, რომელიც არ შეიცავს ბიზნესს, ასოცირებულ პირსა თუ ერთობლივ საწარმოსთან მიმდინარე, წრფივი მეთოდით აღრიცხული ტრანზაქციის შედეგად, აღირიცხება დამფუძნებელი კომპანიის მოგება-ზარალში მხოლოდ ამ ასოცირებულ პირსა თუ ერთობლივ საწარმოში სხვა ინვესტორების წილების ფარგლებში. მსგავსად, ყოფილ შვილობილ საწარმოში (რომელიც გახდა ასოცირებული პირი ან ერთობლივი საწარმო და ახლა წრფივი მეთოდით აღირიცხება) შენარჩუნებული ინვესტიციების სამართლიან ღირებულებამდე გადაფასებით მიღებული მოგება და ზარალი აღიარდება დამფუძნებელი კომპანიის მოგება-ზარალში მხოლოდ ამ ასოცირებულ პირსა თუ ერთობლივ საწარმოში სხვა ინვესტორების წილების ფარგლებში.

ეს შესწორება ძალაში შედის პროსპექტიულად და ვრცელდება 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ პერიოდებზე. ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ ამგვარი ტრანზაქციები განხორციელდა.

შესწორებები ფასს 10, ფასს 12 და ბასს 28 - საინვესტიციო საწარმოები: გაერთიანების გამონაკლისის გამოყენება. აღნიშნული შესწორებები განმარტავს, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების ვალდებულებიდან გამონაკლისი შეიძლება გამოიყენოს დამფუძნებელმა კომპანიამ, თუ იგი არის საინვესტიციო კომპანიის შვილობილი, თუნდაც ეს საინვესტიციო კომპანია ყველა შვილობილს ფასს 10-ის მიხედვით, სამართლიანი ღირებულებით აღრიცხავდეს. შესწორებები აგრეთვე განმარტავს, რომ საინვესტიციო კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულება, კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აგრეთვე მოაქციოს ისეთი შვილობილი, რომელიც დამფუძნებლის საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევითაა დაკავებული, ეხება მხოლოდ იმ შვილობილ კომპანიებს, რომლებიც თავად არ არიან საინვესტიციო კომპანიები.

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული შესწორებების გამოყენება მნიშვნელოვან ზეგავლენას არ იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ბანკი არ არის საინვესტიციო კომპანია და არ გააჩნია რაიმე ჰოლდინგური კომპანია, შვილობილი კომპანია, ასოცირებული პირი თუ ერთობლივი საწარმო, რომელიც ასეთად ჩაითვლებოდა.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2012-2014 წწ. ციკლი. ფასს-ების 2012-2014 წლების ციკლი მოიცავს რამდენიმე ქვემოთ მოცემულ შესწორებას.

ფასს 5-ის შესწორება განმარტავს, რომ აქტივის ან გასასხვისებელი ჯგუფის რეკლასიფიცირება გასაყიდად განკუთვნილის ჯგუფიდან მფლობელთათვის გასანაწილებლად არსებულ ჯგუფში ან პირიქით, არ ითვლება რეალიზაციის გეგმის ან მფლობელთათვის განაწილების გეგმის ცვლილებად და რომ უნდა გამოყენებული იქნეს გასხვისების ახალ მეთოდზე მოქმედი კლასიფიკაციის, წარმოდგენისა და გაზომვის

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ბაბრელები)
(ათასობით ლარში)

მოთხოვნები. გარდა ამისა, ამ შესწორებით, ის აქტივები, რომლებიც არც გასასხვისებელ და არც მფლობელებისათვის გასანაწილებლად არ ითვლება, უნდა ბუღალტრულად ისევე დამუშავდეს, როგორც ის აქტივები, რომლებიც აღარ კლასიფიცირდება გასაყიდად განკუთვნილად. ეს შესწორებები პროსპექტიულად უნდა იქნეს გამოყენებული.

ფასს 7-ის შესწორება დამატებით განმარტავს, კვლავაც მონაწილეობს თუ არა მომსახურების კონტრაქტი სხვა პირისათვის გადაცემულ აქტივში ასეთ აქტივებთან დაკავშირებული სავალდებულო განმარტებების მიზნებისათვის. გარდა ამისა, ფასს 7-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც გვიხსნის, რომ არ არის სავალდებულო, ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის განმარტების მოთხოვნები გათვალისწინებული იქნას მოკლე შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა შუალედური პერიოდისათვის. თუმცა, შესაძლოა საჭირო იყოს ამ განმარტების შეტანა მოკლე შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ბასს 35-ის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. ეს შესწორებები რეტროსპექტიულად უნდა იქნეს გამოყენებული.

ბასს 19-ის შესწორება განმარტავს, რომ მაღალი ხარისხის კორპორაციული ობლიგაციები, რომლებიც თანამშრომლის დაქირავების შემდგომი ბენეფიტების დისკონტირების განაკვეთის დასადგენად გამოიყენება, იმავე ვალუტაში უნდა იქნეს გამოშვებული, რომელშიც ბენეფიტის გადახდა ხდება. ეს შესწორება მოქმედებს შესწორებების თავდაპირველი გამოყენებისას მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი უადრესი შედარებითი პერიოდის დასაწყისიდან.

ბასს 34-ის შესწორება განმარტავს, რომ ამ სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაცია, რომელიც შუალედურ ფინანსურ ანგარიშში სხვაგანაა წარმოდგენილი, თუმცა, არ არის შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში, მასში უნდა ჩაერთოს ჯვარედინი მითითებით, შუალედური ფინანსური ანგარიშგებიდან შუალედური ფინანსური ანგარიშის სხვა ნაწილში, თუ ეს ორივე დოკუმენტი გამოიცემა ერთდროულად და ერთი და იმავე პირობებით.

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2015	2014
საპროცენტო შემოსავალი მოიცავს:		
ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები:		
- გაუფასურებული ფინანსური აქტივები	104,518	61,981
- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არის გაუფასურებული	6,547	2,637
	<hr/>	<hr/>
სულ საპროცენტო შემოსავალი	111,065	64,618
საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე:		
კლიენტებზე გაცემულ სესხები	104,518	61,981
მოთხოვნები საფინანსო ინსტიტუტების მიმართ	5,495	2,234
დაფარვის ვადადღე ფლობილ ინვესტიციები	1,052	403
	<hr/>	<hr/>
სულ საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე	111,065	64,618
საპროცენტო ხარჯი მოიცავს:		
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე	(29,329)	(15,331)
	<hr/>	<hr/>
სულ საპროცენტო ხარჯი	(29,329)	(15,331)

ჯგუფი ბანკი ქართუ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრკელება)
(ათასობით ლარში)

საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებზე მოიცავს:		
კლიენტების დეპოზიტები	(17,147)	(7,696)
სუბორდინირებული სესხი	(10,688)	(7,265)
ბანკების დეპოზიტები	(1,217)	(216)
სხვა ნასესხები სახსრები	(277)	(154)
	<hr/>	<hr/>
